კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის

გიორგი ზურაბიანის

სამაგისტრო ნაშრომი

რუსეთ-სირიის ურთიერთობების როლი ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ პროცესებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი მაია კაპანაძე

თბილისი - 2020

ანოტაცია

მეოცე საუკუნიდან მოყოლებული ჰეგემონი სახელმწიფოთა ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საკუთარი გავლენების გავრცელებას.

ეს რეგიონი იქცა ზესახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების მთავარ ადგილად.ამ რეგიონში მომხდარი თითქმის ყველა კონფლიქტი და დაპირისპირება სწორედ მათი მხრიდან იყო ინსპირირებული. ჯერ სსრკ–ს, შემდეგ კი მისი სამართალმემკვიდრის მიზანი, შეინარჩუნოს გავლენები რეგიონში, დღემდე მკაფიოა. რუსეთის ინტერესების გამტარებლად ახლო აღმოსავლეთში სირია ითვლება, რომელიც იზიარებს მოცემული ქვეყნის პოლიტიკასა და მასთან მჭიდრო პარტნიორული კავშირის ამყარებს.

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს თუ რამ განაპირობა სირიასა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. რა წვლილი მიუძღვის ამ ურთიერთობების გაღვივებაში დასავლეთის ფაქტორს და რა ინტერესები ამოძრავებს რუსეთს სირიასთან ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით.

Annotation

Relation between Russia and Siria in the middle east's geopolitical context

Since the twentieth century, hegemonic states' interests have been closely linked to the spread of their influence in the Middle East.

This region has become a major source of clashes between the interests of the superpowers. Almost all the conflicts and confrontations in the region have been inspired by them.The goal of the USSR, and then its successor, to maintain influence in the region, is still clear. Syria is considered to pursue Russia's interests in the Middle East, which shares the policies of that country and establishes a close partnership with it.

The purpose of this paper is to examine what has led to the formation of relations between Syria and Russia, what is the contribution of the Western factor to the development of these relations and what interests Russia in deepening its relations with Syria.

Giorgi zurabiani

სარჩევი

ანოტაცია.....2

შესავალი.....5

თავი I -სირიის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ეტაპები.....9

1.1 სირიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....9

1.2 სირია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.....10

1.3 ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა სირიაში.....12

თავი II-სირიის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ასპექტები.....19

2.1 სირიის საგარეო პოლიტიკა ფრანგული მანდატის პერიოდში.....19

2.2 მდგომარეობა სირიაში სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.....25

2.3 სირიის ჩართულობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პრობლემებში.....30

თავი III სირიის და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებანი.....37

3.1 სსრ კავშირი სირიის რეგიონულ პრობლემებში.....37

3.2 რუსეთის აქტიური პოლიტიკა სირიაში „არაბული გაზაფხულის“ ფონზე.....45

3.3 ტერორისტული ორგანიზაციები და სირია.....60

3.4 სირიის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთის მიერ ინიცირებულ მოლაპარაკებებში.....69

დასკვნა.....77

გამოყენებული ლიტერატურა.....80

შესავალი

ახლო აღმოსავლეთში კონკრეტულად კი სირიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე მკაფიოდ გამოიკვეთა რუსეთის და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესთა შეჯახება.განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა რუსეთი,რომელიც ცდილობს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას.აღსანიშნავია,რომ სირიასა და რუსეთს შორის სსრკ-ს პერიოდშიც კარგი ურთიერთობა არსებობდა და პუტინი ცდილობს ამ ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას.რუსეთი აქტიურადაა ჩართული სირიის კონფლიქტში თავისი სამხედრო რესურსებით როგორც სირიის ოპოზიციური ძალების,ასევე ტერორისტების წინააღმდეგ.რუსეთი ასევე აქტიურად არის ჩართული სირიის კრიზისის მშვიდობიანად გადაწყვეტის საქმეში.თემას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ის,რომ რუსეთის ყველა ქმედება განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე და ამ ინტერესების აქტიურ დაცვას ის ახორციელებს სირიაში.

საკვლევი კითხვები

1) რამ განაპირობა სირიის კონფლიქტში რუსეთის ჩართულობა?

2) რა როლის მატარებელია ნატოს წევრი თურქეთი რუსეტის გეოპოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად სირიის კონფლიქტში?

3) რა მიზანს ემსახურება „სოჭისა და ასტანის“ ფორმატები.

კვლევის **ჰიპოთეზა** ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ რუსეთი თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობს, სირიის კონფლიქტის გადაჭრაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მოთამაშე იყოს. მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე რეგიონში, კონკრეტულად კი სირიაში ბაშარ ალ ასადის რეჟიმის შენარჩუნება აუცილებელ პირობას წარმოადგენს. რადგან ასადის რეჟიმი რაც უფრო აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან, მით უფრო მეტად არის გამორიცხული სხვა სახელმწიფოების გავლენის ზრდა სირიაში.

კვლევის საგანი: რუსეთ-სირიის ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში

კვლევის ობიექტი: რუსეთ-სირიის ურთიერტობების და ახლო აღმოსავლეთში მიმნინარე გეოპოლიტიკური პროცესები

ჩვენი კვლევის **მიზანი** იყო შეგვესწავლა არაბული გაზაფხულის ფონზე სირიაში განვითარებული მოვლენები.კონკრეტულად ოპოზიციიის გააქტიურების მიზეზები და ამ კონფლიქტში აშშ-სა და მისი ბლოკის და რუსეთისა და მისი მოკავშირეების გააქტიურების მიზნები.

ვეცდებით ჩვენს ხელთ არსებული მასალის საუძველზე გავარკვიოთ რუსეთის მხრიდან სირიის ხელისუფლების მხარდამჭერი საომარი და სამშვიდობო კამპანიების ძირითდი მიზნები.კონკრეტულად,კი რატომ არის რუსეთისათვის ასადის რეჟიმის შენარჩუნება სირიაში.

ჩვენი კვლევის **ამოცანად** დავისახეთ არაბული გაზაფხულის დაწყებიდან დღემდე მიმდინარე კონფლიქტის არსის შესწავლა და ამ კონფლიქტში გარე აქტორების ზემოქმედების მასშტაბების განსაზღვრა.

მეთოდოლოგიურ ნაწილში ვიყენებთ „პოლიტიკური რეალიზმის თეორიას“, რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო.

„ძალთა ბალანსის თეორია“, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურებიდან.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია კვლევის ისეთი **მეთოდები,** როგორიცაა ინტერდისციპლინალური მეთოდი, ისტორიულ-აღწერილობითი, ემპირიული კვლევის მეთოდები, ნარატიული ანალიზი. არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა-ვეცდებით, რომ შევქმნათ აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ სირიის კონფლიქტითა და მასში დიდი სახელმწიფოების, კონკრეტულად კი რუსეთის და აშშ-ს ჩართულობით დაინტერესებულ მკვლევარებს. აღნიშნული ნაშრომი შესაძლებელი იქნება გამოიყენონ უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შესაძლო შედეგების განხილვა-ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ვეცდებით გავარკვიოთ რა მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის შენარჩუნებას, რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ასადის რეჟიმის ხელისუფლებაში ყოფნა და აქედან გამომდინარე რატომ დაუპირისპირდა რუსეთი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის

მოკავშირეებს,რომლებიც ასევე აქტიურად არიან ჩართული სირიაში მიმდინარე კონფლიქტში. ასევე ვეცდებით გავარკვიოთ თურქეთის, ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის პოზიციის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები. რადგან დასაწყისში თურქეთი აშშ-სა და მისი მოკავშირეების გვერდით იბრძოდა, შემდეგ კი რუსეთის ბანაკში აღმოჩნდა და აქტიურად ჩაერთო „სოჭისა და ასტანის“ ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

გოჩა ჯაფარიძე - „თანამედროვე სირია“, 1979 წ. სირიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ მნიშნველოვანი დახმარება გაგვიწია გოჩა ჯაფარიძის მონოგრაფიამ, როელშიც გაშუქებულია ამ ქვეყანაში მიმდინარე ის პოლიტიკური პროცესები, რომელმაც სათავე დაუდო ,,არაბულ გაზაფხულს'' სირიაში. ნანი გელოვანი თავის მონოგრაფიაში „თანამედროვე არაბული ქვეყნები“, 2008 წ. განიხილავს არაბული ქვეყნების და მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ქვეყნების ეგვიპტისა და სირიის ბევრი პრობლემატურ საკითხს, რაც დაგვეხმარა ნაშრომზე მუშაობისას.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სირია-რუსეთის და მასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია რ. გაჩეჩილაძის ნაშრომებში: პირველ ტომში და მეორე ტომში ,,ახლო აღმოსავლეთი (გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები)“, (თბილისი 2018), იგი ყურადღებას ამახვილებს რეგიონში არსებულ წყლის რესურსებზე. მდინარეების გარშემო წარმოქმნილ უთახმოებაზე ახლო აღმსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის, ტბებზე და წყალსატევებზე. ასევე განხილულია რეგიონის სრუტეების მნიშვნელობა.

თავი I-სირიის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ეტაპები

1.1. სირიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სირია-ოფიციალურად სირიის არაბული რესპუბლიკა ქვეყანა დასავლეთ აზიაში. დასავლეთიდან ესაზღვრება ლიბანი და ხმელთაშუა ზღვა, ჩრდილოეთიდან თურქეთი,აღმოსავლეთიდან ერაყი, სამხრეთიდან იორდანია და სამხრეთ დასავლეთიდან ისრაელი. სირიის სახმელეთო საზღვრების სიგრძე 2101 კმ-ს უდრის. ჩრდილო დასავლეთით 183 კმ სიგრძეზე აკრავს ხმელთაშუა ზღვა. სირიის ფართობია 185,4 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 1977 წელს შეადგენდა 8,8 მილიონს.

სახელწოდება სირია ბერძნულია . ის გვხვდება ძვ.წ.აღ ბერძენ ავტორებთან (ესქილე, ჰეროდოტე). ძველ დროში სირიის გეოგრაფიული მცნება დღევანდელთან

შედარებით უფრო ფართო იყო და ძირითადად მოიცავდა ტერიტორიას სინაიდან ალექსანდრეტას უბემდე, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან არაბეთის უდაბნომდე.

ძვ.წ. მეოთხე-მესამე ათასწლეულებში სირიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადადის. ძვ.წ. მესამე-მეორე ათასწლეულში კი სირიის ბინადარი მოსახლეობა კი იწყებს პირველყოფილურ თემური ურთიერთობებიდან მონათმფლობელობის სტადიაში გადასვლას. გაჩნდა პირველი ადრე მონათმფლობელური სახელმწიფოები, რომელთა ცენტრები იყო სავაჭრო ქალაქები.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობდა სირიის ტერიტორიაზე სახელმწიფოებისა და ქალაქების აყვავებას, მაგრამ იმავე გეოგრაფიული მდებაორების წყალობით სირია უცხოელთა შემოსევების მუდმივი ობიექტი იყო.[1]

მე-7 საუკუნეში მუჰამედმა, რომელიც თავს ღმერთის მოციქულად თვლიდა ისლამის დროშის ქვეშ გააერთიანა არაბული ტომები.

632 წელს გარდაიცვალა მუჰამედი, რამაც განაპირობა არაბთა თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.მის სათავეში იდგა ხალიფა რაც ალაჰის მოციქულის მუჰამედის მოადგილეს ნიშნავს. ამის შემდეგ არაბთა ამ სახელმწიფოს სახალიფო ეწოდა. 633 წელი სირიაში არაბთა შეჭრით თარიღდება, ხოლო 640 წელს დასრულდა სირიის დაპყრობა არაბთა მხრიდან. 661 წელს სატახტო ქალაქი დამასკოში გადაიტანა ხალიფა მუავიამ.

მე-12 საუკუნის 80-იანი წლებიდან სირია შევიდა ეგვიპტის აიუბიანთა სახელმწიფოს

ჯაფარიძე გოჩა.გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,თბილისი,1979წელი.თანამედროვე სირია.გვ-5

შემადგენლობაში. მე-13 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი აქ ბატონობდნენ ეგვიპტის მამლუქის სულტნები. 1516 წელს თურქებმა დაამარცხეს მამლუქები და დაიპყრეს სირია. თურქების ბატონობამ ქვეყანაში 400 წელი გასტანა და პირველი მსოფლიო ომის მიწურულს დაეცა, მაგრამ ამის შემდეგ სირია-პალესტინაში გავლენის სფეროები პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა _ინგლისმა და საფრანგეთმა გაიყვეს. 1920 წელს პალესტინა და ტრანსიორდანია ინგლისის, ხოლო ლიბანი და სირია საფრანგეთის სამანდატო ქვეყნები გახდნენ.[2]

1.2 -სირია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში

1516 წელს მოხდა სირიის დაპყრობა ოსმალთა სულთნის სელიმ პირველის მიერ,მას შემდეგ რაც მან დაამარცხა მამლუქები ბრძოლაში, რომელსაც მარჯ-ბადიქის ბრძოლა ეწოდა.1516 წლიდან 1918 წლამდე ოსმალა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა სირია. გამომდინარე იქედან რომ თურქები პატივს სცემდნენ არაბულს როგორც ყურანის ენას,ეს პერიოდი სირიელებისთვის არც თუ ისე რთული იყო,მიუხედავად იმისა რომ მრავალი გამოწვევა არსებობდა.

1516 წლის 24 აგვისტოს ალეპოს ჩრდილოეთით,დაბიკის ველზე მოხდა ბრძოლა ოსმალეთისა და ეგვიპტის ჯარებს შორის,რომელიც სელიმის გამარჯვებით დამთავრდა.1516 წლის 28 აგვისტოს სელიმ პირველი თავისი ლაშქრით ალეპოში შევიდა,ხოლო 9 ოქტომბერს აღებულ იქნა დამასკო.[3]სირიისა და პალესტინის

[2] (ჯაფარიძე გოჩა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო',თბილისი,1979 წელი. „თანამედროვე სირია' გვ 7)

[3] მიხეილ სვანიძე-თურქეთის ისტორია გვ.104

მოსახლეობა,რომელიც შევიწროვებული იყო მამლუქთა ბატონობით,ხშირ შემთხვევაში დახმარებას უწევდა ოსმალებს. დამასკოს აღების შემდეგ ,სულ მალე,მთელი სირია და პალესტინა ოსმალთა ხელთ აღმოჩნდა. რასაც იმანაც შეუწყო ხელი რომ სირიისა და პალესტინის მოსახლეობა სელიმ პირველს ხვდებოდა როგორც განმათავისუფლებელს მამლუქთა ბატონობისგან.

მე-19 საუკუნე გამოიორჩევა აშკარა და მზარდი დაინტერესებით ევროპული ქვეყნების მხრიდან ოსმალეთის იმპერიის მიმართ,რაც ამ იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ჩარევით გამოიხატა. მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ოსმალეთის იმპერია რჩებოდა დასუსტებული ფეოდალური სამთავროების ფორმალურად გაერთიანებულ უზარმაზარ სახელმწიფოდ.სელიმ მეორემ და მაჰმუდ მეორემ გაატარეს გარკვეული რეფორმები,მაგრამ ამან ვერ უზრუნველყო არაბული სახელმწიფოების დაშოშმინება,რაც საბოლოო ჯამში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გადაიზარდა.

მეცხრამეტე საუკუნის 30იან წლებში კვლავ გამწვავდა აღმოსავლეთის საკითხი. ურთიერთობა დაიძაბა ოსმალეთის სულთან მაჰმუდ მეორესა და მის ვასალს ეგვიპტის ფაშას მუჰამედ ალის შორის. მუჰამედ ალის რეფორმებმა ხელი შეუწყვეს ეგვიპტის გაძლიერებას და სწრაფვას ოსმალეთის იმპერიიდან გამოყოფისკენ.ამ მოცემულობაში ეგვიპტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სირიის შეერთება,რითაც უზრუნველყოფდა აღმმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოებას. რადგან ეგვიპტის სამხედრო უსაფრთხოება არ იყო სახარბიელო განსაკუთრებით სუეცის რაიონში. გარდა სტრატეგიული დანიშნულებისა სირია ეკონომიკურადაც სარგებლის მომტანი იყო ამიტომაც იბრძოდნენ მისთვის როგორც ეგვიპტე ასევე ოსმალეთი. სირია აწარმოებდა ნატურალურ აბრეშუმს, შალს, მარცვლეულს, ზეითუნის ზეთს. დამასკო და ტრიპოლი გამოირჩეოდა მებაღეობით, ჩრდილოეთ სირიაში მოჰყავდათ ბამბა.სირია

იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო კარიბჭე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ სირიის პორტები.

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული ცენტრალური მმართველობა რამაც თავის მხრივ განაპირობა ცალკეული ვილაიეთების ხელმძღვანელების გაძლიერება და ერთგვარად გათავხედება. ამ კუთხით ყველაზე წინ წამოიწივნენ „აიანები". პორტას მიერ დანიშნული გუბერნატორები მარტო ვილაიეთების ცენტრალურ ნაწილებს აკონტროლებდნენ,პერიფერიულ ნაწილებში კი მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ. ისლამური იურისდიქციის აღდგენა სირიაზე 1841 წელს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი რაც პორტამ დაამარცხა ეგვიპტური სამფლობელოს ფაშა მუჰამედ ალი ეს მოხდა 1840 წელს.

1.3. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა სირიაში

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამოწყება განაპირობა იბრაჰიმ ფაშას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კრახმა. რაც იდეაში სირიის აღმავლობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის იყო მიმართული. ოსმალურ პერიოდში არსებობდა შემდეი სახის გადასახადები: 1) მირი-მიწის გადასახადი, 2)ხარაჯა-სულადობრივი გადასახადი, 3) მონოპოლიები-ვრცელდებოდა ზოგიერთ პროდუქტზე ფაშას შეხედულებისამებრ.საბაჟო ტარიფები არ იყო რეგულირებული და მკაცრად განსაზღვრული, ამმიტომაც ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ დაბალი საბაჟო ტარიფის შემოღებას ვაჭრებისთვის.იბრაჰიმ ფაშამ მოახერხა საბაჟო ტარიფების დამტკიცება,შეზღუდა ფაშების თვითნებობა რამაც განაპირობა ვაჭართა და ხელოსანთა უსაფრთხო გადაადგილება. გაიზარდა სატრანზიტო ვაჭრობა სირიის

ტერიტორიის გავლით გაჰქონდათ ინგლისური წარმოების ქსოვილები ირანსა და ინდოეთში.სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, იბრაჰიმ ფაშამ 10 წლის ვადით გაათავისუფლა გადასახადებისგან, ყველა ის პირი რომელიც ყამირ მიწას დაამუშავებდა. აქტიურად ხდებოდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მისი რეალიზაცია.

იბრაჰიმ ფაშას მიერ გატარებულმა რეფორმებმა დასაწყისში დადებითი შედეგი გამოიღო და მნიშვნელოვნად მოხდა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის დასტაბილურება,მაგრამ საბოლოოდ მაინც კრახი განიცადა რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. მეცხრამეტე საუკუნის 30იან წლებში ცხადი გახდა რომ ახალი კონფლიქტი კაიროსა და სტამბოლს შორის გარდაუვალი იყო. მუჰამედ ალიმ არ მიიღო სირია-პალესტინა მემკვიდრეობითი უფლებით, არ გამოცხადდა ეგვიპტის დამოუკიდებლობა. ოსმალეთის სულთანი ვერ ურიგდებოდა იმპერიის ტერიტორიის 35-40% ის დაკარგვას. ორივე მხარე აქტიურად ემზადებოდა ომისთვის რამაც გამოიწვია გადასახადების ზრდა და შეიქმნა ერთგვარი კრიზისი, რაც მნიშვნელოვანი ინსპირაცია აღმოჩნდა დაპირისპირებისთვის.

იბრაჰიმ ფაშამ შემოიღო შრომითი ბეგარა სამხედრო გზების, ყაზარმების, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე.ბეგარა ითვალისწინებდა მაღაროების მომარაგებას, ხე-ტყისა და ქვანახშირის გადაზიდვას.ზოგჯერ იძულებით შრომას ანაზღაურებდნენ მაგრამ ძალიან მცირე თანხით, ამასთან გლეხი შორდებოდა თავის მეურნეობას რაც რა თქმა უნდა მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.გადასახადებმა მოიცვესქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა სფერო.სახელმწიფო გადასახადს კრეფდა ხეხილის ბაღებიდან, პლანტაციებიდან, მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგიდან,ფუტკრის სკიდან, აბანოებიდან და დუქნებიდან.გადასახადები რომელიც პირველად ლიბერალური იყო საბოლოოდ 3,5 ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობის განსაკუთრებულ პროტესტს იწვევდა განიოარაღების მოთხოვნა და სარეკრუტო გაწვევა.1832 წელს მუჰამედ ალიმ მოითხოვა ოკუპირებულ რაიონებში სარეკრუტო გაწვევის ორგანიზება, რაც სირიაში გაცილებით უფრო რთული იყო ვიდრე ეგვიპტეში. გახშირდა ზეწოლა მოსახლეობაზე.პირდაპირ საწოლიდან მიჰყავთ მამაკაცები. სამხედრო გაწვევამ და ეგვიპტის ხელისუფლლების მიერ მოსახლეობის შევიწროვებამ, სირიის მცხოვრებნი გაამწარა და ისინი ერთსულოვნად მზად იყვნენ აჯანყებისთვის.

1841 წელს შემოღებულ იქნა სირიის ვილაიეთის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიუყლი დაყოფა: საიდის და ტრიპოლის საფაშოები გაერთიანდა ერთ ვილაიეთად და ცენტრი გადატანილ იქნა ბეირუთში. ძველ საზღვრებში დარჩა დამასკოსა და ალეპოს ვილაიეთები. პალესტინა გამოიყო სპეციალურ იერუსალიმის სანჯაყად და დაექვემდებარა ბეირუთის გუბერნატორს. ცალკე სანჯაყად ჩამოყალიბდა დარაზურის რაიონიც, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა იმპერიის შინაგან სამინისტროს უწყებას.

სირიის პროვინციაში ადმინისტრაციული რეფორმის შესაბამისად მოხდა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების გაყოფა. მკაცრად განისაზღვრა ვალის ანუ გუბერნატორის და კაიმაკამების უფლება-მოვალეობანი. ისინი მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო ხელისუფალნი იყვნენ და ცენტრს ნებისმიერ დროს შეეძლო მათი გადაყენება. ახალი ადმინისტრაციული სისტემის ცენტრალიზაციით გუბერნია წარმოადგენდა ერთიანი სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილს. გუბერნატორთან შეიქმნა სათათბირო ორგანო: ადმინისტრაციული საბჭო, გადასახადების აკრეფა და ვილაიეთის ფინანსების განკარგვა გახდა ვალისაგან დამოუკიდებელი მოხელის - დეფთერდარის მოვალეობა.

ამრიგად, სირიაში XIX საუკუნის შუა ხანებში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში გაიზარდა სოციალური დაძაბულობა და გახშირდა ამბოხებები. გამძაფრდა წინააღმდეგობები ფეოდალური კლასის ცალკეულ ფენებსა და ჯგუფებს შორის და ბოლოს გაძლიერდა ანტაგონიზმი გლეხებსა და ფეოდალებს შორის. არაბული ქვეყნების მოსახლეობისათვის ფეოდალური მანკიერებები გამოიხატებოდა, უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკურ რეჟიმში, ამიტომაც მოძრაობა მიმართული იყო ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. 1841 წლის დასაწყისში ალეპოში, ისევე როგორვ მთელ სირიაში, თურქი მმართველები იძულებული იქნენ გადაედოთ გადასახადების აკრეფა. 1841 წლის ბოლოს შეძლეს თურქებმა ადგილობრივი სირიელი მოსახლეობის დამორჩილება, თუმცა ცალკეული რაიონები ისევ არ იხდიდნენ გადასახადს. სახალხო მოძრაობა განახლდა სირიაში 1850 წელს. მღელვარებამ მოიცვა ტრიპოლი. აჯანყდა ბიკაას ველის მოსახლეობა, რომელსაც შეუერთდა დამასკოდან გაქცეული მუსლიმი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი. თურქმა მეომრებმა შეძლეს აჯანყებულების დამარცხება.

ალეპოს აჯანყებამ მნიშვნელოვნად დაძაბა ვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით. თურქეთს გააჩნდა შიში რომ აჯანყება მოიცავდა ანტიოქიის,ტრიპოლის,იერუსალიმის მოსახლეობას.ამის გამო სირიაში გადმოისროლეს საჯარისო ფორმირებები. თუმცა ალეპოს აჯანყება არ გავრცელებულა სხვა რაიონებში და თურქეთმა შეძლო ამ გამოსვლების ჩახშობა.

შეიარაღებული აჯანყება მოხდა 1859 წელს ქისრავანში, რომელსაც მეთაურობდა ტანიუს შაჰინი. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში და საკმაოდ პოპულარული იყო.

1860 წლის ივლისში ტრაგიკული მოვლენები მოხდა დამასკოშიც. ფანატიკოსმა მუსლიმებმა თურქი ჯარისკაცების მონაწილეობით მოაწყვეს ქრისტიანების საშინელი

ხოცვა-ჟლეტა. 1860 წლის სისხლიანი მოვლენები ძვირად დაუჯდა სირიის მოსახლეობას.

ამ მოვლენების პარალელურად იზრდებოდა ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის დაინტერესება რეგიონის და იქ მიმდინარე პროცესების მიმართ.ეგვიპტე-ოსმალეთის პირველი შეიარაღებული კონფლიქტის დროს ფაშას სამხედრო წარმატებებმა განაპირობეს რუსეთის ჩარევა ოსმალეთის საშინაო საქმეებში.რუსეთმა ჯარები შემოიყვანა სტამბოლში და დადო ხელშეკრულება, რომლის საიდუმლო მუხლითაც რუსეთის სამხედრო გემებს შეეძლოთ მარმალილოს ზღვაში შესვლა.

ეგვიპტის ფაშას პოლიტიკა ხმელთაშუა ზღვის აუზისა და ინდოეთისკენ მიმავალ გზაზე ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის ინტერესებს. მას შემდეგ რაც სირია შეიერთა ეგვიპტე იქცა ერთ-ერთ ძლიერ და ანგარიშგასაწევ ქვეყანად ხმელთაშუა ზღვის აუზში.

რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთის საკითხში. 1839წელს რუსეთის წარმომადგენელი ბრუნოვი ჩავიდა ინგლისში მოსალაპარაკებლად ახლო აღმოსავლეთის საკითხზე. ნიკოლოზ პირველს არ სურდა საფრანგეთთან ხელშეკრულების დადება, რადგან ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ მისი ძირითადი მეტოქეები სირიასა და ეგვიპტეში. ის ფიქრობდა რომ საფრანგეთთან დაპირისპირება ინგლისს აიძულებდა რუსეთთან შეექმნა კავშირი. მიუხედავად მცდელობისა ბრუნოვმა ვერ მოახერხა ინგლისთან ხელშეკრულების დადება და უკან დაბრუნდა.

1839 წელს საფრანგეთის, პრუსიისა და ავსტრიის სამთავრობო კაბინეტები შეიკრიბნენ ლონდონის კონფერენციაზე. 1840 წლიდან კონფერენციას შეუერთდა ოსმალეთის წარმომადგენელი. მათი მონაწილეობა ოსმალეთისთვის იყო იმის გარანტი რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებით ინგლის-რუსეთს შორის,არ ექნებოდა არანაირ გარიგებას ადგილი იმპერიის გაყოფაზე. ინგლისის, რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის წაქრმომადგენლებმა შესთავაზეს საფრანგეთს მუჰამედ

ალისთვის გადაეცათ ეგვიპტე. თუმცა საფრანგეთი არ ჩქარობდა ამ წინადადებაზე თანხმობის მიცემას და მაქსიმალურად ცდილობდა დროის გაჭიანურებას,თუმცა საბოლოოდ მაინც მოუწია დათანხმება და 1840 წლის 15 ივლისს ხელი მოეწერა ლონდონის პირველ კონვენციას.კონვენციის პირობებით:

1) მუჰამედ ალის გადაეცემოდა ეგვიპტე მემკვიდრეობითი უფლებით და პალესტინა. დანარჩენი ტერიტორიები უბრუნდებოდა სულთანს.

2) მას უნდა დაებრუნებინა ოსმალეთის ფლოტი

3) ეგვიპტის სახმელეთო და საზღვაო ძალები ითვლებოდა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებად.

4) თუ ფაშა 10 დღეში არ შეასრულებდა ამ მოთხოვნებს ,ის დაკარგავდა აქქის საფაშოს.

5) ოცი დღის გასვლის შემდეგ კი მუჰამედ ალის ეგვიპტესაც ჩამოართმევდნენ.

ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო საფრანგეთისთვის და სწორედ ამიტომაც უწოდა ლუი-ფილიპემ დიპლომატიური ვატერლოო. მან სცადა კონვენციის დარღვევა, ავსტრია პრუსიის დაშინება საფრანგეთთან ომით და ინგლისს შესთავაზა 1834 წლის ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების განახლება „აღმოსავლეთის საკითხში“. ბრიტანეთის კაბინეტის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

1840 წელს ხმელთაშუა ზღვის აუზში შევიდა გაერთიანებული ესკადრა რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა: ინგლისის 11 სახაზო გემი, 2 ავსტრიული ფრეგატი, რამდენიმე თურქული გემი. რუსეთს სურდა 10 სამხედრო გემის გაგზავნა ინგლის-ავსტრიის დესანტთან ერთად თუმცა მისი ეს მცდელობა ჩაიფუშა, რადგან ინგლისი წავიდა წინააღმდეგი. 1840 წელს ინგლისი მიერ მოხდა ბეირუთის დაბომბვა, რამაც

გააძლიერა ლიბანში ინგლისის მიერ ინსპირირებული აჯანყება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. ლიბანში გავრცელდა ხმა იმის შესახებ რომ ეგვიპტის ხელისუფლება გეგმავდა ქრისტიანების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას. 1840 წელს ბეირუთის პორტში შევიდა ეგვიპტის სამხედრო აღჭურვილობით სავსე გემი. სწორედ მისი გამოჩენა ჩათვალეს მარიონეტებმა სამხედრო გაწვევის დასაწყისად და ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიაძაბა. იბრაჰიმ ფაშამ მოსთხოვა ბაშირ მეორეს რომ განეარაღებინა მარიონეტები. მიუხედავად იმისა რომ ბაშირ მეორემ მარიონეტებსა და დრუზებს მოსთხოვა განიარაღება ამან შედეგი არ გამოიღო და პირიქით ეგვიპტის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. 1840 წლის 8ივლისს სოფელ ანტალიუსში ქრისტიანულმა, დრუზების, სუნიტებისა და შიიტების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელძშეკრულებას „ერთობლივი ბრძოლის შესახებ თავისუფლებისთვის“. აჯანყება დაიწყო დეილ ალ-კამარას რაიონში, მეორე კერა წარმოიშვა მუკატააში, მესამე კი ბეირუთის მახლობლად. ინგლისისა და ავსტრიის მთავრობები ფულით და იარაღით ეხმარებოდნენ აჯანყებულებს. აჯანყებულებმა მოითხოვეს მირის გარდა ყველა გადასახადის გაუქმება, საბატონო ბეგარისა და განიარაღების მოთხოვნის გაუქმება, მაგრამ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ მოხდა და აჯანყებამაც საბოლოოდ კრახი განიცადა რისი მთავარი მიზეზიც ის იყო, რომ იბრაჰიმ ფაშამ მთიან ლიბანში პურის და იარაღის შეტანა აკრძალა, რამაც საბოლოოდ აჯანყების ბედი განაპირობა. იბრაჰიმ ფაშამ და ბაშირ მეორემ დაამარცხეს ლიბანის აჯანყება. დაძაბული ვითარება რჩებოდა სირიაში. 1840 წელს ეგვიპტის საოკუპაციო რეჟიმმა სირიაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. იბრაჰიმ ფაშამ მისი ჯარი 3 ნაწილად გაყო რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით უნდა ებრძოლათ. მიუხედავად ამისა მოკავშირეებმა 9ოქტომბერს აიღეს ბეირუთი, აიღეს საიდა, ტირი, ტრიპოლი.ბევრმა ოფიცერმა მიატოვა ეგვიპტის არმია და ოსმალეთის მხარეს გადავიდა. ეგვიპტის არმიის ნაწილები მთელს სირიაში იყვნენ გაფანტული, რომელსაც აჯანყებულები და მოკავშირეთა

ძალები ებრძოდნენ. საბოლოოდ ცხადი გახდა რომ იბრაჰიმ ფაშამ მარცხი განიცადა და უნდა გაეყვანა ჯარები სირია-პალესტინის ტერიტორიიდან. 1840 წლის 29 დეკემბერს იბრაჰიმ ფაშამ დატოვა დამასკო.

ოსმალეთ-ეგვიპტის სამხედრო დაპირისპირებამ სირიის პრობლემების გამო ახლო აღმოსავლეთის საკითხის გააქტიურება გამოიწვია მეცხრამეტე საუკუნის 30იან წლებში.მნიშვნელოვნად მიმდინარეობდა გავლენის სფეროების გაფართოებისთვის ბრძოლა და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი ევროპის სახელმწიფოების დღის წესრიგში იდგა. ამან გამოიწვია მათ შორის დაპირისპირება. საბოლოოდ ყველაზე მეტად ისარგებლა ბრიტანეთმა რომლის გავლენაც ოსმალეთის იმპერიაში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო საფრანგეთის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა, რაც შეეხება რუსეთს მისმა დიპლომატიურმა ნაბიჯებმა მარცხი განიცადა. მას მოუწია იმ პრივილეგიების დათმობა რომელიც ადრიანოპოლისა და უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოიპოვა.

თავი II-სირიის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ასპექტები

2.1.სირიის საგარეო პოლიტიკა ფრანგული მანდატის პერიოდში

პირველი მსოფლიო ომი შეეხო თითქმის ყველა არაბულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი სირია-პალესტინას და ჰიჯაზს, სადაც საომარი საქმიანობა გაიშალა. ინგლის-საფრანგეთის ბლოკი იყენებდა ეგვიპტის, სუდანის, ალჟირის, თუნისის, მაროკოს და სპარსეთის ყურის ქვეყნების რესურსებს მაშინ, როცა გერმანია-ოსმალეთის ალიანსი ცდილობდა სირია-ლიბანის, პალესტინის და ერაყის

გამოყენებას თავის ბაზად. გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის მთავარი მეტოქე ახლო აღმოსავლეთში იყო დიდი ბრიტანეთი, რომელმაც XIX საუკუნის დამლევს მტკიცედ მოიკიდა ფეხი ეგვიპტეში. ამ ომში დამარცხდა ოსმალეთის იმპერია. 1918 წლის 30 ოქტომბერს ეგეოსის ზღვაში, მუდროსის ყურეში ბრიტანეთის სამხედრო გემ ,,აგამემნონზე" ოსმალეთის წარმომადგენლებმა ბრიტანელი ადმირალის კარნახით ხელი მოაწერეს ე.წ. ,,მუდროსის ზავს," რომელიც ფაქტობრივად, იმპერიის სრული კაპიტულაციის პირობებს შეიცავდა. ოსმალური ადმინისტრაცია გაუქმდა ყველა არაბულ ქვეყანაში, სადაც ომამდე გარკვეული სახით კიდევ არსებობდა (სირია-პალესტინა, ლიბანი, ერაყი, ჰიჯაზი, 'ასირი, იემენი). 1920 წლის 19-26 აპრილს ქ. სან-რემოში (იტალია) შედგა ანტანტისა და მისი მოკავშირე ქვეყნების კონფერენცია. დღის წესრიგში იდგა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის განაწილების საკითხი, რაც პირველ რიგში არაბული პროვინციების სტატუსის გასაზღვრას გულისხმობდა. კონფერენციაზე ერთა ლიგის ეგიდით შეიქმნა ე.წ. ,,სამანდატო სისტემა," რომელიც გულისხმობდა ოსმალეთის ყოფილ პროვინციებში ისეთი რეჟიმის შექმნას, რომელსაც ექნებოდა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, მაგრამ რეალური ძალაუფლება დარჩებოდა მანდატორი ქვეყნის ხელში. სან-რემოს კონფერენციამ ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიად გამოაცხადა ერაყი და პალესტინა, ხოლო საფრანგეთს გადაეცა სირია და ლიბანი. კონფერენციამ გაიზიარა ,,ბალფურის დეკლარაციის" მოთხოვნა, რომლის თანახმად, სამანდატო ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური პირობები ,,ებრაელთა კერის" შექმნის უზრუნველსაყოფად. სამანდატო ტერიტორიების არაბი მოსახლეობის სურვილი და მოთხოვნები არ ყოფილა მსჯელობის საგანი. იგივე შეიძლება ითქვას პარიზის მახლობლად ხელმოწერილ ე.წ. ,,სევრის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე" (1920 წ. 10 აგვისტო), რომლითაც თურქებმა ოფიციალურად თქვეს უარი ყოფილ არაბულ პროვინციებზე

სირიაზე საფრანგეთის მანდატს მეტი გართულება მოჰყვა.1918 წლის ოქტომბერში ბრიტანულმა ნაწილებმა ამირ ფაისალის რაზმებთან ერთად დაიკავეს სირია. 1920 წლის მარტში ფაისალმა თავი სირიის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ, გამომდინარე იქედან რომ საიქს-პიკოს შეთანხმების თანახმად სირია ფრანგული ინტერესების სფეროში შედიოდა, ბრიტანელებმა სირიის საქმეები საფრანგეთს შეატოვეს, რომელთაც დამასკოს ბრძოლით აღება და იქიდან ფაისალის გაძევება მოუხდათ.

საფრანგეთმა ჯერ ავტონომიურ ერთეულებად დაყო სირია, შემდეგ კი თანდათან დაიწყო სირიის გაერთიანება. 1930 წელს საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ერთპიროვნულად გამოაცხადა კონსტიტუცია, რომლითაც ერთიანი სირია რესპუბლიკად ცხადდებოდა.

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სირია- მესოპოტამიის რეგიონი აღმოჩნდა ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის ქვეშ. სირიას ბრიტანელები აკონტროლებდნენ 1918წლიდან 1920 წლამდე. საიქს-პიკოს შეთანხმების შედეგად სირია საფრანგეთს გადაეცა, ბრიტანული ძალები გამოვიდნენ და საფრანგეთს დაუთმეს სირია იქ კი ადგილობრივმა ძალებმა მონარქიული ხელისუფლება შექმნეს.ფრანგებს დამასკოს აღება ბრძოლით მოუხდათ. დამსკოს აღებისთანავე ოფიცლაურმა პარიზმა სირია დაყო დამასკოს, ალეპოს ლატაკიის ჯაბა-დრუზისა და ალექსანდრატის ავტონომიებად, ალვიტებსა და დრუზიდებს საფრანგეთმა გარკეეული პოლიტიკური ძალაუფლება მიანიჭა. მოგვიანებით კი საფრანგეთის ინიცატივითვე დაიწყო სირიის გაერთიაება.

ამ დროს ხელისუფლებაში იყვნენ სუნიტები.მმართველობის ასეთი ტიპი ოსმალეთის იმპერიიდან მოდიოდა. თუმცა ფრანგული მანდატის დაწესების შემდეგ ხელისუფლებაში ჩნდებიან ქრისტიანები. სამხედრო ძალებში იყო მრავალი ქურთი და

ჩერქეზი. საფრანგეთმა სირია დაყო რამდენიმე ავტონომიად მაგრამ ქრისტიანული ელემენტების ყველაზე დიდი გამოვლინება მაინც იყო სირისგან გამოყოფილ ლიბანში. ამავდროულად სირიაში 1919წელს ჩნდება ნაკლებად დამოუკიდებელი სირიის სამეფო, რომელსაც მართავდა ჰაშიმიდების დინასტიიდან ემირი ფაისალ მეორე.სირიის ეროვნულმა კონგრესმა ის მეფედ ცნო და მისი სამეფოს ტერიტორია ითვალისწინებდა თურქეთის კუროს მთიდან სინას ნახევარკუნძულის უდაბნომდე ტერიტორიას.თუმცა მაისალუნის ბრძოლაში ფაისალის არმია დამარცხდა ფრანგებთან და ის იძულებული იყო წასულიყო ქვეყნიდან. ამის შემდეგ სირიაში ოფიციალურად შემოვიდა საფრანგეთის მანდატი. სირია დაიყო 3 ავტონომიურ რეგიონად.

ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ეროვნული აგიტაცია საფრანგეთის მმართველობის წინააღმდეგ,რომელსაც სათავეში ედგა სულთანი ალ-ატრაში.ეს წინააღმდეგობის მუხტი დაიბადა 1925 წელს დრუზის მთაში და გავრცელდა მთელს სირიაში. 1926წლის აჯანყების ჩახშობამდე შეტაკებები მიმდინარეობდა აჯანყებულებსა და სამხედრო ძალებს შორის დამასკოში, ჰომსში და ჰამასში.

1937 წელს ერთა ლიგამ ავტონომია მიანიჭა ალექსანდრატის სანჯაყს სირიის შემადგენლობაში. თურქეთის ცნობით ალექსანდრატის სანჯაყში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თურქი იყო,რამაც საფრანგეთი იძულებული გახადა ალექსანდრატის სანჯაყი ჰათაის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოეცხადებინა.1939 წელს ჰათაი თურქეთს შეუერთდა, ქალაქი ანტიოქია თურქეთის ტერიტორიაზე მოექცა. 1943 წლიდან სირია დე-იურე დამოუკიდებელი გახდა.სირიამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რაც გააკეთა პირველ რიგში ეს იყო ალავიტებისაა და დრუზების ავტონომიური რაიონების გაუქმება. რამაც პროტესტი გამოიწვია.

1936 წლის 9 სექტემბერს განხორციელდა საფრანგეთ -სირიის ხელშეკრულების პარაფირება,რომლის თანახმადაც სამი წლის შემდეგ უნდა გაუქმებულიყო ფრანგული

მანდატი სირიაზე და სირიას უნდა მოეპოვებინა დამოუკიდებლობა და შესულიყო ერთა ლიგის შემადგენლობაში. 1936 წლის 13 ნოემბერს ანალოგიური ხელშეკრულება დაიდო ლიბანთან. საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების მიხედვით ალექსანდრეტას სანჯაყი სირიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო და სირიას უნდა შეესრულებინა ის ვალდებულებები, რომელიც საფრანგეთმა აიღო თურქეთთან დადებული ხელშეკრულებებით. მას შემდეგ რაც საფრანგეთ -სირიის ხელშეკრულება დაიდო,თურქეთის მხრიდან დაიწყო აქტიური კამპანია საფრანგეთის წინააღმდეგ და მას ბრალს სდებენ, რომ ალექსანდრეტას სანჯაყი აღიარა სირიის მანდატად.თურქები მოითხოვდნენ რომ , სანჯაყი უნდა გამხდარიყო ისეთივე დამოუკიდებელი როგორც სირია და ლიბანი და საფრანგეთს სანჯაყთანაც ანალოგიური ხელშეკრულება უნდა დაედო.

1936 წელს დაიწყო მოლაპარაკება თურქეთსა და საფრანგეთს შორის. ამ მოლაპარაკებებში თურქეთმა წამოაყენა გარკვეული არგუმენტები იმისთვის, რომ მისი მოთხოვნები დაკმაყოფილებულიყო: 1) 1921წლის ხელშეკრულება თურქეთმა დადო არა სირიასთან, არამედ საფრანგეთთან. ამავდროულად სანჯაყი დაუთმო არა უპირობოდ, არამედ პირიქით. 2) თუ ახლა საფრანგეთი უარს ამბობს თავის ხელშეკრულებაზე, ამ რეგიონის სუვერენიტეტი უნდა გადაეცეს სანჯაყის მოსახლეობას. 3) თურქეთთან შეუთანხმებლად საფრანგეთს არა აქვს უფლება გადასცეს იგი მესამე მხარეს. 4)საფრანგეთმა დაარღვია 1921-1926 წლის ხელშეკრულებები,რომლითაც დადგენილი იყო თურქეთ-სირიის საზღვრები.[4] (მიხეილ სვანიძე."თურქეთის ისტორია")

საფრანგეთმა თავის საპასუხო ნოტაში განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დათანხმდეს სანჯაყის დამოუკიდებლობაზე, რადგან: 1)1921 წლის ხელშეკრულებით იგი გამოდიოდა მანდატის მფლობელის როლში სირიის ინტერესების სასრგებლოდ.

[4] მიხეილ სვანიძე.თურქეთის ისტორია. გვ.23-26

2)ერთა ლიგისაგან მიიღო მანდატი იმ პირობით,რომ გათვალისწინებული იყო მხოლოდ სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობა, გამომდინარე აქედან მესამე სახელმწიფოს ალექსანდრეტას დაარსება გამოიწვევდა მანდატის პირობის დარღვევას.

საფრანგეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა თურქეთთან მეგობრული ურთიერთობა.ის სულაც არ იყო დაინტერესებული მასთან კონფლიქტით,რასაც შეიძლება გამოეწვია ურთიერთობების გამწვავება არაბულ ქვეყნებთან.

მესამე სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ მოდავე მხარეეებს არ დაეთმოთ ერთმანეთისთვის. მაგალითად, ინგლისის პრესა არწმუნებდა ფრანგებს თურქების არგუმენტების უსუსურობაში, ხოლო გერმანია და იტალია აქეზებდნენ თურქეთს ემოქმედათ უფრო გაბედულად და ენერგიულად.სანჯაყი მოიცვა მასობრივმა მღელვარებამ, რამაც კონფლიქტი გაამწვავა . თურქული მოსახლეობა უარს აცხადებდა მონაწილეობა მიეღო სირიის პარლამენტში. შეტაკებები მოხდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რამაც მსხვერპლი გამოიწვია. თურქეთის და საფრანგეთის შეთანხმებით საკითხის გადატანა განხორციელდა ერთა ლიგაში.

1936 წლის დეკემბერში ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებით,სანჯაყში გაგზავნილ იქნენ ნეიტრალური ზედამხედველები. ერთა ლიგის საბჭომ ურჩია საფრანგეთისა და თურქეთის წარმომადგენლებს მოლაპარაკების გაგრძელება შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუამდგომლობით.

1937 წელს დაიწყო საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკება, მაგრამ მალევე შეწყდა. 1937-1938წლებში კონფლიქტი კვლავ განახლდა. დიდ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ სირიელი არაბები, სირიისგან სანჯაყის ჩამოცილება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მათში. 1938 წლის გაზაფხულისათვის, შეტაკებები სანჯაყში

გაძლიერდა და სამოქალაქო ომს დაემგავსა. ასეთ მძიმე ვითარებაში საფრანგეთი საბოლოოდ მაინც დათმობაზე წავიდა და შესაძლებელი გახდა შეთანხმების მიღწევა.

საფრანგეთი დაეთანხმა სირიის დამოუკიდებლობას თუმცა ამასთანავე შეინარჩუნა სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერე. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ჰაშიმ-ალ-ათასსი ახალი კონსტიტუციის მიხედვით. ეს იყო თანამედროვე სირიის რესპუბლიკის გამოვლინება. საფრანგეთის ლეგისტრატურამ უარი თქვა ამ დეკლარაციის რატიფიკაციაზე. გამომდინარე აქედან ის არ შესულა ძალაში.მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას 1940 წელს საფრანგეთის დაცემისას,სირიაში კონტროლი გადავიდა ჯერ უმაღლესი საფრანგეთის ხელში,ხოლო შემდეგ ბრიტანეთისა და გათავისუფლებული საფრანგეთის ხელში. სირიამ ისევ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1941 წელს,თუმცა რეალურად არ განხორციელებულა 1944 წლამდე,როდესაც მოხდა მისი დამოუკიდებლობის აღიარება. სირიიდან საფრანგეთის გასვლა შენელებულ პროცესად იქცა რამაც საპროტესტო ტალღა გამოიწვია,რასაც საფრანგეთმა არტილერიით უპასუხა. 1945 წლის მაისში დამოუკიდებლობის ტალღის შესაჩერებლად,საფრანგეთმა მოახდინა სირიის პარლამენტის ოკუპაცია და ელექტრო ენერგიის მიწოდება შეუწყვიტა დამასკოს.ფრანგებმა მოკლეს 400 სირიელი მაშინ,როდესაც თავიანთი იარაღის გამოცდას ახორციელებდნენ ძველი დამასკოს ქალაქში. 1946 წელს ეროვნული ჯგუფების ზეწოლით საფრანგეთი იძულებული გახდა გაეყვანა უკანასკნელი სამხედრო ძალები ქვეყნიდან.ქვეყანა დარჩა რესპუბლიკური მთავრობის ხელში, რომელიც მანდატის პერიოდში ჩამოყალიბდა.

2.2-მდგომარეობა სირიაში სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

სირია დამოუკიდებელი გახდა 1946 წლის 17 აპრილს.ამის შემდეგ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები წარიმართა სირიაში.1946-56 წლებში სირიას ჰქონდა 20 განსხვავებული კაბინეტი და შეიმუშავა 4განსხვავებული კონსტიტუცია.

1946 წელს მას შემდეგ,რაც ფრანგულმა ჯარებმა დატოვეს სირიის ტერიტორია და ამ უკანასკნელმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, სიტუაცია ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა და ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაერთო ახალი ძალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რეგიონში მიმდინარე პროცესებში. განსაკუთრებით ნათლად ეს გამოჩნდა სირიაში სამხედრო გადატრიალებების დროს მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში. ამ ბრძოლაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ეთნოკონფესიური ჯგუფები განსაკუთრებით კი დაპირისპირებული იყვნენ სუნიტები და დრუზები,რომლებიც წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა რომ გადატრიალებებში ძირითად როლს ასრულებდნენ სუნიტები და დრუზები,ამ გადატრიალებების უკან ასევე იდგა ერთი ეთნოკონფესიური უმცირესობა ქურთები, რომელთაც მნიშვნელოვნად მოახერხეს დრუზების გავლენის შემცირება. ამ პერიოდში ეთნოკონფესიური უმცირესობების როლი არც თუ ისე დიდი იყო პოლიტიკურ სფეროში,თუმცა მათი პოზიციები მტკიცდებოდა, განსაკუთრებით სირიის პარტია ბაასში. ქურთების როლი განსაკუთრებით გაიზარდა ოფიცერთა კორპუსში სადაც მათმა დრუზების ჩანაცვლება მოახერხეს.

1948 წელს სირია მონაწილეობდა ომში ისრაელსა და არაბეთს შორის,არაბული სახელმწიფოების გვერდით, რომელთაც ისრაელის სახელმწიფოს განადგურება უნდოდათ. სირიის არმია შევიდა პალესტინაში მაგრამ საბოლოოდ უკან გაბრუნება

მოუხდა. საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ მხარეები შეთანხმდნენ 1949 წელს. გაეროს კონტროლის ქვეშ ჩამოყალიბდა დემილიტირებული ზონა.[5]

ეთნოკონფესიური ფაქტორი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა სირიის საზოგადოებაში. იმ პერიოდში როდესაც სირია იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სუნიტები, რომელთაც ტრადიციულად წამყვანი პოზიციები ეკავათ საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურებში და ქვეყნის მოსახლეობის უმრავვლესობას შეადგენდნენ. მოგვიანებით, ფრანგული მანდატის არსებობის პერიოდში, მუსლიმმა სუნიტებმა შეინარჩუნეს თავიანთი ტრადიციული როლი სირიის საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა აშკარად ძლიერდებოდა ქრისტიანული ელემენტების როლი. ოფიცერთა კორპუსის ძირითად ნაწილს სწორედ ქრისტიანები შეადგენდნენ. აშკარად შეიმჩნეოდა კონფესიური დისბალანსი რეგიონში.

1946 წელს მას შემდეგ, რაც ფრანგულმა ჯარებმა დატოვეს სირიის ტერიტორია და ამ უკანასკნელმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, სიტუაცია ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა და ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაერთო ახალი ძალები,რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რეგიონში მიმდინარე პროცესებში.განსაკუთრებით ნათლად ეს გამოჩნდა სირიაში სამხედრო გადატრიალებების დროს მეოცე საუკუნის 40-50-იან წლებში. ამ ბრძოლაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ეთნოკონფესიური ჯგუფები განსაკუთრებით კი დაპირისპირებული იყვნენ სუნიტები და დრუზები, რომლებიც წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა რომ გადატრიალებებში ძირითად როლს ასრულებდნენ სუნიტები და დრუზები, ამ გადატრიალებების უკან ასევე იდგა ერთი ეთნოკონფესიური უმცირესობა

[5] სირიის ისტორია. გვ.1.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90

ქურთები,რომელთაც მნიშვნელოვნად მოახერხეს დრუზების გავლენის შემცირება.ამ პერიოდში ეთნოკონფესიური უმცირესობების როლი არც თუ ისე დიდი იყო პოლიტიკურ სფეროში, თუმცა მათი პოზიციები მტკიცდებოდა, განსაკუთრებით სირიის პარტია ბაასში. ქურთების როლი განსაკუთრებით გაიზარდა ოფიცერთა კორპუსში სადაც მათმა დრუზების ჩანაცვლება მოახერხეს.

მას შემდეგ რაც 1963 წელს დაირღვა სირია-ეგვიპტის კავშირი,ალავიტები აღმოჩნდნენ იმ პოლიტიკურ ძალთა შორის,რომელთაც რეალურად ჰქონდათ შესაძლებლობა ბრძოლა ეწარმოებინათ ხელისუფლებისთვის. ეს ტენდენცია უფრო აშკარა და თვალსაჩინო გახდა 1963 წლის 8 მარტის სამხედრო გადატრიალების ე.წ „მარტის რევოლუციის“ შემდეგ , რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ „ბაასის“ წევრები. ამ პროცესების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთნოკონფენსიური უმცირესობების როლი,უპირველეს ყოვლისა ალავიტების, ასევე დრუზებისა და ისმაილიტების.

სირიის საზოგადოების სამხედრო, პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების „ალავიტიზაციის“ პროცესმა დასრულებული სახე მიიღო 1970 წლის 13 ნოემბერს, როდესაც ხელისუფლების სათავეში, სამხედრო გადატრიალების (ისტორიაში მიიღო სახელწოდება `გამოსასწორებელი მოძრაობა“) შედეგად, მოვიდა ალავიტი ჰაფეზ ასადი, რომელმაც დაამარცხა ალავიტი – სალაჰ ჯადიდი და დააპატიმრა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად. 1971 წლის 22 თებერვალს არჩეულ იქნა ქვეყნის პრეზიდენტად და თავის ხელში გააერთიანა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის და პარტიის გენერალური მდივნის პოსტი. ხოლო მოგვიანებით, ეროვნულ-პროგრესული ფრონტის თავმჯდომარეობაც. ჰაფეზ ასადის რეჟიმის მთავარი დასაყრდენი გახდა არმია და სპეცსამსახურები. პრეზიდენტის პოსტი აქამდე ეკავათ მხოლოდ სუნიტებს და ამ პოსტის გადასვლა ალავიტების ხელში ნიშნავდა სუნიტების უპირატესობის დასასრულს. სწორედ ამ პერიოდში გაძლიერდა ალავიტური ელემენტის ჩართვის

პროცესი სირიის არმიის და უშიშროების ძალთა ოფიცერთა კორპუსში. ამ პირობებში ალავიტებმა ფაქტობრივად ხელისუფლების მონოპოლიზირება შეძლეს ქვეყანაში. ჰაფეზ ასადი უპირატესობას ანიჭებდა თავის ახლობლებს ალავიტების წრიდან. ალავიტების მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო არა მხოლოდ ძალოვანი უწყებები, არამედ სახელმწიფო სტრუქტურები, ეკონომიკური დაწესებულებები და მსხვილი ბიზნესის ნაწილი. 1990-ანი წლების დასაწყისში სირიის შეიარაღებული ძალების 70%-ს შეადგენდნენ ალავიტები, ხოლო სამხედრო ელიტიდან 14 იყო ალავიტი. სირიის პარლამენტისა და ბაასის პარტიის ყრილობების დელეგატთა 60%-ს შეადგენდნენ სუნიტები. ალავიტების ხელში იყო მობილური და კარგად შეიარაღებული სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პრეზიდენტის და რეჟიმის უსაფრთხოებას. თუმცა ჰაფეზ ასადმა ისეთი სისტემა შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მჭიდრო კავშირს ალავიტების სამხედრო ჯგუფსა და სუნიტური თემის წარმომადგენელებს შორის. ჰაფეზ ასადის ავტორიტარული მმართველობა ემყარებოდა სამ საფუძველს: სამხედროები (არმია და სპეცსამსახურები), ბაასის პარტია და ალავიტების თემი. 2000 წლის 17 ივლისს, ჰაფეზ ასადის გარდაცვალების შემდეგ, სირიის პრეზიდენტი გახდა მისი ვაჟი ბაშარ ასადი, რომელმაც მმართველობის პირველ ხანებში დაიწყო სირიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების შედარებითი ლიბერალიზაციის კურსის გატარება. ამ პერიოდში ხელისუფლების რეალური ბერკეტები უწინდებურად მმართველი ელიტის ხელში იყო, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ ალავიტები. თუმცა ოფიციალურად ქვეყანას მართავდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია – ბაასი, რომლის შიგნითაც ძალთა თანაფარდობა იყო ასევე ალავიტების სასარგებლოდ. ბაშარ ასადმა, მამისაგან განსხვავებით, სტრატეგიული პოლიტიკური კავშირი დაამყარა სუნიტებთან და ქრისტიანულ უმცირესობებთან. პრეზიდენტი არაბულ და ისლამურ კონფერენციებზე ყოველთვის ხაზს 3 უსვამდა თავის ერთგულებას საერთო ისლამური საქმისადმი.

პარტიებზე კანონის ახალ რედაქციით აიკრძალა პარტიის შექმნა ეთნიკური და კონფესიური ნიშნით. პოლიტიკური ისლამის როლის ზრდამ აიძულა სირიის ხელისუფლება ნება დაერთო ისლამური მოძრაობის წარმომადგენლებისათვის მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში. 2006 წელს სირიის ისლამისტებმა ლონდონში შექმნეს „ისლამური ხსნის ფრონტი“. სირიაში არის დაახლ. 2500 მეჩეთი, სადაც ხელისუფლების ფარული კრიტიკა მიმდინარეობდა. ბაშარ ალ-ასადის პოლიტიკური მოღვაწეობა თავიდანვე რთულ საგარეო და საშინაო პრობლემებს გადაეჯაჭვა. მამისგან ისეთი მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, როგორიც ტერიტორიული კონფლიქტია ისრაელთან (1967 წელს, ისრაელმა გოლანის მაღლობების ოკუპაცია მოახდინა, რამაც ორ ქვეყანას შორის მრავალწლიანი დაპირისპირება გამოიწვია). ამერიკის შეერთებული შტატები ამ დაპირისპირებაში ისრაელის მხარეს აღმოჩნდა და ოფიციალური დამასკო ისეთი შეიარაღებული ძალების მხარდაჭერასა და დაფინანსებაში დაადანაშაულა, როგორიც ჰამასი და ჰეზბოლაა. ვაშინგტონის ბრალდებები ერაყის ომის დროსაც გაგრძელდა. მაშინ თეთრი სახლი სირიის პირველ პირს სადამ ჰუსეინის რეჟიმისადმი ლოიალურ განწყობასა და მის სამხედრო დახმარებაში ადანაშაულებდა. ბაშარ ასადი გამოუცდელი, პოლიტიკურად გაუნათლებელი იყო, როდესაც ქვეყნის მართვას შეუდგა და ხალხს დაჰპირდა, ჩინეთის მსგავს რეფორმებს გავატარებო. მაგრამ მისი საშინაო პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა. 2011 წლის 15 მარტს სირიაში დაიწყო საპროტესტო აქციები, რაც გადაიზარდა სირიის სამოქალაქო ომში - შეიარაღებული კონფლიქტი სირიაში ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების ერთგულ ძალებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის. ეს აქციები იყო ნაწილი უფრო ფართო ახლო აღმოსავლური საპროტესტო მოძრაობის, რომელიც ცნობილია არაბული გაზაფხულის სახელით. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის გადადგომას, რომლის ოჯახიც მართავს სირიას 1971 წლიდან, ასევე ბაასის პარტიის

მმართველობის დასრულებას, რომელიც დაიწყო 1963 წელს. უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის დარეგულირებისთვის ასადი რამდენიმე დათმობაზე წავიდა და რეფორმების სერია წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც, ქურთებს სირიული პასპორტები დაურიგა, სასწავლო დაწესებულებებში ქალებს ნიკაბის მოხსნის უფლება და 1963 წელს დაწესებული საგანგებო რეჟიმი გააუქმა. თუმცა, როდესაც დაინახა, რომ დემონსტრაციები არ წყდებოდა, ყველაფერში დასავლეთი დაადანაშაულა და დათმობაზე წასვლაც დიდი ხნით დაივიწყა. საერთაშორისო ორგანიზაციები ადანაშაულებენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ძალებს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში. 5 მილიონზე მეტი სირიელი გახდა იძულებით გადაადგილებული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნგრევის თვალსაზრისით არცერთ ქვეყანას ამდენი ზარალი არ მიუღია. დანგრეულია ქალაქები, საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, სკოლები, კომუნიკაციები. ქიმიური იარაღის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა სირიაში, რამაც ძლიერი საერთაშორისო რეაქცია გამოიწვია. კონფლიქტის შედეგად 300 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

2.3 სირიის ჩართულობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პრობლემებში

1516 წელს თურქებმა დაამარცხეს მამლუქები და დაიპყრეს სირია.თურქები სირიაზე 400 წლის მანძილზე ბატონობდნენ და მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის მიწურულს დაეცა მათი გავლენა. ამის შედეგ კი გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა საფრანგეთმა და ინგლისმა დაიწყეს და მათმა გაიყვეს გავლენის სფეროები.1920 წელს პალესტინა და იორდანია ინგლისის,ხოლო ლიბანი და სირია საფრანგეთის სამანდატო ტერიტორია გახდნენ.

ამ პერიოდში აქტიური ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა სირიაში,რამაც საფრანგეთი აიძულა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე და ცალმხრივად მიეღო სირიის კონსტიტუცია 1930 წელს,სირია კი რესპუბლიკად გამოეცხადებინა.საფრანგეთის მანდატი გაუქმდა 1943 წელს,ხოლო საფრანგეთის ჯარებმა სირიის ტერიტორია 1946 წელს დატოვეს.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სირიაში ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო, რასაც ემატებოდა იმპერიალისტური ქვეყნების ექსპანსიური მისწრაფებები. არასტაბილური და არამყარი პოლიტიკური ვითარების ფონზე სირიის არმიის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1949-1951 წლებში ქვეყანაში მოხდა ოთხი სამხედრო გადატრიალება. 1954 წლის სახელმწიფო გადატრიალება განსხვავდებოდა წინამორბედი სამხედრო გადატრიალებებისგან.არმია სარგებლობდა მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით. აღდგა რესპუბლიკური კონსტიტუციის მოქმედება, ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები[6].

მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საერთაშორისო მოთამაშეებისთვის და ზესახელმწიფოებისთვის გახდა ნავთობი და გაზი. ვარაუდობენ, რომ ნავთობის მსოფლიო მარაგის 44% სწორედ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არის თავმოყრილი. ასევე გაზის მარაგების 48%. ნავთობის მარაგებით გამოირჩევა სპარსეთის ყურე და სპარსეთის ყურის ქვეყნები(საუდის არაბეთი, ირანი, ერაყი და ქუვეითი). შედარებით ნაკლები ნავთობი მოიპოვება სირიასა და ეგვიპტეში,მაგრამ საკმარისი იმისთვის რომ მათ ეყოთ მოხმარებისთვის და გარკვეული საექსპორტო პოტენციალიც ჰქონდეთ. გამომდინარე იქედან რომ ახლო აღმოსავლეთი ნავთობით და გაზით მდიდარი რეგიონია ძალიან მასშტაბურია მისით დაინტერესება სხვადახვა გარე აქტორების მხრიდან,შესაბამისად ის

[6] ჯაფარიძე გოჩა.გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,თბილისი.1979 წელი. „თანამედროვე სირია“ გვ.9

არეულობები და დაპირისპირებები, რომელიც ამ რეგიონში უკვე წლებია მიმდინარეობს გარე ძალების მხრიდან აქტიურად არის ინსპირირებული. რა თქმა უნდა პირდაპირი ინტერესის გაცხადებისგან ყველა თავს იკავებს და მშვიდობის დამამყარებელი ქვეყნის როლს ირგებენ, თუმცა რეალობა ის არის რომ თითოეულ მათგანს აქვს როგორც გეოპოლიტიკური ასევე ეკონომიკური ინტერესები ამ რეგიონში,რომლის განხორციელებასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ. ძირითადი მოთამაშეები კი რა თქმა უნდა ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთია, რომელთა ინტერესები უკვე მრავალჯერ შეეჯახა ერთმანეთს ამ რეგიონში. განვიხილოთ რამდენიმე ისტორიული მაგალითი თუ რა როლი ითამაშა ნავთობით მდიდარმა ახლო აღმოსავლეთმა მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებაში.

1908 წელს ნავთობის საბადო აღმოაჩინეს სამხრეთ სპარსეთში,რომლითაც დაინტერესდა დიდი ბრიტანეთი და 1914 წელს მოახდინა სამხრეთ ერაყის ოკუპაცია. მას შემდეგ რაც ეს საბადო აღმოაჩინეს დიდმა ბრიტანეთმა თითქმის უარი განაცხადა სამხრეთ კავკასიაში ბაქოს ნავთობზე და ძირითადი ინტერესი ამ საბადოსკენ გადაიტანა.

1973 წელს არაბულმა ქვეყნებმა დაუწესეს ემბარგო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნიდერლანდებს ნავთობის მიწოდებაზე „იომ ქიფურის“ ომში ისრაელის დახმარებისთვის.

1990-1991 წლებში მიმდინარეობდა „სპარსეთის ყურის კრიზისი“. რაც გამოიწვია იმან,რომ ერაყი ცდილობდა ქუვეითის დაპყრობას. მაგრამ აშშ-ს და კოალიციის ჩართულობით მოხდა ქუვეითის განთავისუფლებას. 2003 წელს როდესაც ამერიკა შეიჭრა ერაყში ძირითადად მიზეზად რა თქმა უნდა სადამ ჰუსეინის მმართველობის

დამხობა სახელდებოდა,მაგრამ ნავთობით დაინტერესებაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

1958 წ. თებერვალში ეგვიპტე და სირია გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ, რომელსაც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ეწოდა. მაგრამ ეს კავშირის ხანმოკლე აღმოჩნდა. სხვადავსხ სახის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს მისი დაშლა. 1961 წ. 28 სექტემბერს სამხედრო გადატრიალების შედეგად სირია გამოვიდა აგრ-ს შემადგენლობიდან.

1963წ. 8 მარტს სირიაში მოხდა ახალი სახელმწიფო გადატრიალება. ბაასისტ ოფიცერთა ჯგუფმა დამასკოში ხელთ აიღო ძალაუფლება. ამის შედეგად ქვეყანას სათავეში მოექცა ბაასი - არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია.

ბაასის პროგრამაში შედიოდა: ერის ინტერესებისათვის ეკონომიკური რევოლუციის მოთხოვნა, ბუნებრივი სიმდიდრეების ნაციონალიზაციის, მოსახლეობის შემოსავლის სამართლიანი განაწილების, საშინაო და საგარეო ვაჭრობაზე კონტროლის დაწესების. ეკონომიკის დაგეგმვისა და სოციალური უზრუნველყოფის, მიწის საკუთრების შეზღუდვისა და სხვა მოთხოვნები.

ბაასს არ ჰქონდა რაიმე გარკვეული კავშირი ერთ რომელიმე რელიგისთან. პარტიის პირველადი ორგანიზაციები იქმნებოდა სირიის სხვადასხვა რელიგიურ დაჯგუფებებში. ბაასის წევრებისათვის აუცილებელი იყო "არაბიზმის" აღიარება. "არაბიზმი" განისაზღვრებოდა როგორც "არაბი ერის გასათავისუფლებვლად, ერთ სახელმწიფოდ მის გასაერთიანებლად და დემოკრატიულ საწყისებზე სოციალიზმის ასაშენებლად არაბული ქვეყნების ხალხების სწრაფვა.

ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ბაასისტურმა მთავრობამ პარტიის პროგრამის შესაბამისად გარკვეული ღონისძიებები განახორციელა ეკონომიკის სფეროში. ცვლილებები მოხდა აგრარულ რეფორმაშიც, რომელიც დაიწყო სირია-ეგვიპტის

ერთიანობის დროს.[7] პროგრესულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს მშრომელი მასები, გამოიწვია საშინაო რეაქციული წრეების გააქტიურება. 1966-1967წწ. გაიხსნა რამდენიმე შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ. ამავე დროს გაძლიერდა დაძაბულობა სირია-ისრაელის საზღვარზე, სადაც ისრაელმა დაიწყო დიდი სამხედრო შენაერთების თავმოყრა.

1967 წლის „ექვსდღიანმა ომმა“ შეცვალა მთელი რეგიონის გეოპოლიტიკური ბალანსი და თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე. არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის ისედაც ჩიხში შესული ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად დაიძაბა. ომი დაიწყო ისრაელის მიერ ეგვიპტეზე თავდასხმით. მოგვიანებით ომში სირია, იორდანია და ერაყიც ჩაერთვნენ. ამ პერიოდში მასობრივად ხდებოდა თავდასხმა ისრაელის მოქალაქეებზე რამაც ვითარება საგანგაშო გახადა.1967 წლის ივნისში ეგვიპტემ ტირანის სრუტე საერთაშორისო ნაოსნობისთვის დაკეტა, რითაც ფაქტობრივად მოახდინა ისრაელის ნავსადგურ ეილათის ბლოკირება. სინას ნახევარკუნძულზე მობილიზება დაიწყო ეგვიპტის არმიამ. 4ივნისს ეგვიპტე-იორდანიის თავდაცვით პაქტს შეუერთდა ერაყი. არაბული ქვეყნების ანტიისრაული განწყობები მიანიშნებდა, რომ კარზე იყო მომდგარი გარდაუვალი ომი.

ისრაელის მთავრობამ და შეიარაღებულმა ძალებმა გათვალა ,რომ თუ კი მოწინააღმდეგის მხრიდან პირველ გასროლას დაელოდებოდნენ,ძნელი იქნებოდა თავდაცვა და მით უმეტეს გამარჯვების მიღწევა. ამიტომ ისრაელმა მიიღო გადაწყვეტილება დაებომბა ეგვიპტის აეროდრომები, თუნდაც მისი იმიჯი საერთაშორისო საზოგადოების თვალში არ ყოფილიყო სახარბიელო.5ივნისს ისრაელის ავიაციამ,რომელიც აღჭურვილი იყო უახლესი ფრანგული თვითმფრინავებით,უსწრაფესი იერიში მიიტანა და მთლიანად მოსპო ეგვიპტის

[7] ჯაფარიძე გოჩა გამომცემლობა „ საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979 წელი. თანამედროვე სირია გვ.11

სამხედრო-საჰაერო პოტენციალი. ისრაელის არმიამ დაიკავა სინას ნახევარკუნძული და გაჩერდა სუეცის არხის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

იორდანიამ და სირიამ დაიწყეს ეგვიპტის მხარდამჭერი სამხედრო მოქმედებები ისრაელის წინააღმდეგ,რაც მნიშვნელოვანი ინსპირაცია აღმოჩნდა ისრაელისთვის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმები განეხორციელებინა. ამის შემდეგ ისრაელმა დაიკავა გოლანის მაღლობი და პალესტინის ტერიტორია.მიუხედავად იმისა რომ „ექვსდღიან ომში“ ისრაელმა წარმატებით გაიმარჯვა, ამან ვერ უზრუნველყო მშვიდობა ვერც ისრაელისთვის და ვერც მთლიანად რეგიონისთვის.1967 წელს ქალაქ ხართუმში ჩატარდა არაბული ლიგის ქვეყნების კონფერენცია,რომელმაც თეორიულადაც კი მოსპო ქვეყნებს შორის მორიგების შესაძლებლობა.ამ კონფერენციაზე დადგინდა „სამი არა“ (არა ისრაელის ცნობას,არა მოლაპარაკებას ისრაელთან,არა მშვიდობას ისრაელთან). მიუხედავად იმისა რომ არაბული ქვეყნების ეს გადაწყვეტილება საღი აზრისგან აბსოლიტურად შორს იყო და ასე ვთქვათ ცხელ გულზე იყო მიღებული ისრაელთან დამარცხების გამო,მაინც შეიცავდა პრაგმატული პოლიტიკის გარკვეულ ელემენტებს.

1967 წლის 22 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია მახლობელი აღმოსავლეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად და რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. რეზოლუციის თანახმად ისრაელს შეიარაღებული ძალები უნდა გაეყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, მაგრამ ისრაელი არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა,რომ ისრაელმა განახორციელა სამხედრო აგრესია სირიაში მაინც გრძელდებოდა რეფორმების განხორციელება.მნიშვნელოვნად განვითარდა სირიის ნავთობმომპოვებელი მრეწველობა. ევპრატზე დაიწყო გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ეკონომიკური კუთხიტ მნიშვნელოვანი პროექტი იყო.

1970 წელს მოხდა გარდაქმნები სახელმწიფო და პარტიულ ხელისუფლებაში. ძალაუფლება ხელში აიღო თავდაცვის მინისტრმა ჰაფეზ ასადმა,რომელიც 1971 წელს რეფერენდუმის წყალობით აირჩიეს სირიის პრეზიდენტად. 1973 წლის 12 მარტს საყოველთაო რეფერენდუმზე მიიღეს სახალხო საბჭოს მიერ შემუშავებული სირიის მუდმივი კონსტიტუცია, 25 მაისს კი ჩატარდა საპარლამენტი არჩევნები სახალხო საბჭოში.[8]

1973 წლის 6 ოქტომბერს,როდესაც ებრაელები აღნიშნავდნენ წმინდა დღეს იომ-ქიფურს(დღე განკითხვისა) და ეს დღე საყოველთაო უქმედ იყო გამოცხადებული,ეგვიპტის არმიამ გადალახა სუეცის არხი და შეუტია მოწინააღმდეგეს. სირიამ სატანკო ოპერაცია განახორციელა გოლანის მაღლობის დასაბრუნებლად. მაგრამ ისრაელის არმიამ მოახერხა საპასუხო შეტევის განხორციელება და დაიბრუნა გოლანის მაღლობი და მოახდინა ეგვიპტური დივიზიების ბლოკირება.ომის მომდევნო წლების პოლიტიკური განვითარება, რომელსაც სერიოზული გეოპოლიტიკური შედეგი მოყვა ეყრდნობოდა გარკვეულ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რამაც შექმნა სამხედრო წონასწორობის შთაბეჭდილება. ერთმანეთს შეხვდნენ ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარე სადათი და ისრაელის პრემიერ მინისტრი მენახემ ბეგინი 1977 წლის 19 ნოემბერს. მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა 1979 წელს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად ისრაელმა გაათავისუფლა სინას ნახევარკუნძული. აღდგენილ იქნა ეგვიპტესთან 1948 წლამდე არსებული საზღვარი. ეგვიპტემ, პირველი არაბული ქვეყნებიდან ცნო, ისრაელის სახელმწიფო და სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან.

სირიამ ალჟირთან, ლიბიასთან, იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან ერთად შექმნა სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტი. დამასკოში ჩატარდა თათბირი ფრონტის

[8] ჯაფარიძე გოჩა გამომცემლობა „ საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979 წელი. თანამედროვე სირია.გვ-13

წევრებმა უარყვეს კემპ-დევიდის შეთანხმება და გადაწყვიტეს არაბული ქვეყნების მთელი რესურსების მობილიზაცია ეგვიპტე ისრაელის მორიგებათა ლიკვიდაციისთვის. თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც გადაწყდა რომ სირიის პრეზიდენტი ასადი უნდა სწვეოდა სსრ კავშირს იმ მიზნით, რომ კავშირი დაემყარებინა სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნულ ფრონტსა და სსრ კავშირს შორის.

1975-1990 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ლიბანის სამოქალაქო ომი,რომელშიც მონაწილე მთავარი აქტორები იყვნენ: პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის რაზმები, სირიის და ისრაელის არმიები. ლიბანმა მიიღო დიდი რაოდენობით პალესტინელი ლტოლვილები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ლიბანის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე.პერიოდული დაპირისპირებები ლიბანსა და პალესტინელებს შორის გადაიზარდა სისხლისმღვრელ სამოქალაქო დაპირისპირებაში. 1982 წელს მოკლეს ლიბანის პრეზიდენტი ბაშირ ჟმაილი, რომლის უკანაც სირიის სპეცსამსახურები იდგნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად დაძაბა ვითარება და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ომი ლიბანში გაგრძელდა კიდევ რამდენიმე წელი და სამშვიდობო პროცესის დასაწყისად ე.წ „ტაიფის შეთანხმება“ ითვლება. რომელიც 1989 წელს დაიდო არაბული ქვეყნების შუამავლობით.

თავიIII - სირიისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებანი

3.1. სსრ კავშირი სირიის რეგიონულ პრობლემებში

1961 წლის 28 სექტემბერს ეგვიპტე-სირიის კავშირის დარღვევის შემდეგ ალავიტების პოლიტიკური ძალა საკმაოდ გააქტიურდა და დაიწყეს ბრძოლა ხელისუფლებისთვის. სირიის საზოგადოების სამხედრო, პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების ალავიტიზაციის პროცესმა დასრულებული სახე მიიღო 1970 წლის 13 ნოემბერს.როდესაც ხელისუფლების სათავეში სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა ჰაფეზ ასადი. 1971 წლის 22 თებერვალს არჩეულ იქნა პრეზიდენტად.მან მოახდინა გაერთიანება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის და პარტიის გენერალური მდივნის პოსტი. ასადის რეჟიმის მთავარი დასაყრდენი გახდა არმია და სპეცსამსახურები.

1990 იანი წლების დასაწყისში სირიის შეიარაღებული ძალების 70%-ს შეადგენდნენ ალავიტები, ხოლო სამხედრო ელიტიდან 14 იყო ალავიტი. სირიის პარლამენტისა და ბაასის პარტიის ყრილობების დელეგატთა 60%-ს შეადგენდნენ სუნიტები. ალავიტების ხელში იყო მობილური და კარგად შეიარაღებული სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პრეზიდენტის და რეჟიმის უსაფრთხოებას, თუმცა ჰაფეზ ასადმა ისეთი სისტემა შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მჭიდრო კავშირს ალავიტების სამხედრო ჯგუფსა და სუნიტური თემის წარმომადგენლებს შორის. ამ უკანასკნელთა შორის უნდა დავასახელოთ თავდაცვის მინისტრი მ. თლასი, ვიცე პრეზიდენტი ა.ჰადამი, ყოფილი პრემიერ მინისტრი ა.კასიმი.[9] არმიაში სუნიტების გევრდით ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაინიშნენ დრუზები და ქრისტიანებიც. გარკვეუწილად, ეს დათმობა განაპირობა ასადის სურვილმა მოემზადებინა პირობები ხელისუფლების თავისი შვილისთვის უმტკივნეულოდ გადაცემის მიზნით. ჰაფეზ ასადის გარდაცვალების შემდეგ ბაშარ ასადმა მემკვიდრეობით მიიღო ხელისუფლება, რომელსაც არაბული სოციალისტური ბაათის პარტია მართავდა, სადაც

[9] გელოვანი ნანი.“ალავიტების როლი სირიის პოლიტიკაში“.2002 წელი

უმრავლესობას ალავიტები შეადგენენ.ალავიტები შიიტური სექტაა რომელიც მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ,სადაც უმრავლესობა 74 პროცენტს სუნიტები შეადგენენ. იმისთვის რომ ასადი ხელისუფლებაში მოსულიყო მან განახორციელა საკონსტიტუციო ცვლილებები,რის შედეგადაც საპრეზიდენტო ასაკი 40 წლამდე დაიწია. ასადმა არჩევნები 97 პროცენტით მოიგო და ამის შემდეგ დღემდე აქტიურად ახორციელებს დიქტატურას.

სსრ კავშირი აქტიურ დახმარებას უწევდა ასადის რეჟიმს, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო მისი გეოპოლიტიკური ინტერესებით რეგიონში.ცივი ომის პერიოდში როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისთვის აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, რეგიონალური ჰეგემონიის მოპოვება და საკუთარი ინტერესების გატარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ამ ჰეგემონიის განსამტკიცებლად.ამ მხრივ კი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დომინირება და საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოება ორივე ზესახელმწიფოს აქტიურ პოლიტიკურ დღისწესრიგში იყო მოქცეული. გამომდინარე იქედან რომ ახლო აღმოსავლეთი იქცა სამოქალაქო და საომარი მოქმედებების ცხელ კერად, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა ეგვიპტის, ისრაელის, სირიის და პალესტინის მონაწილეობით, გარე აქტორების ჩართულობა ერთი მხრივ ამ კრიზისის გადასაჭრელად და მეორეს მხრივ მათი ინტერესების გასატარებლად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ერთის მხრივ საბჭოთა კავშირისა და შემდგომში უკვე რუსეთის ინტერესები სირიაში წმინდა წყლის სამხედრო ხასიათისაა. 1971 წლიდან დღემდე რუსეთის საზღვაო ფლოტი ქალაქ ტარტუსშია განთავსებული. სრულიად ცხადია რომ რუსეთი ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელს არასოდეს არ დათმობს და არ შეეგუება მისი გეოპოლიტიკური ინტერესების უგულებელყოფას. რუსეთისთვის სირიის მთავრობის მხარდაჭერა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოზიცია, ორი ძირითადი ფაქტორითაა

განპირობებული. პირველ რიგში,ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან მუდმივი პაექრობა პირველობისთვის და ჰეგემონიისთვის.მეორე მიზეზი კი იმ მუსლიმ ექსტრემისტებთან ბრძოლაა, რომლებიც სირიის სამთავრობო ჯარებისთვის მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ და რომლებთანაც მუდმივად უხდებათ ბრძოლა. თავის მხრივ, რუსეთისთვის ყველაზე დიდ მტრად სწორედ მუსლიმი ექსტრემისტები განიხილებიან.

საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ კოდში მისი უშუალო მეზობლები თურქეთი და ირანი ტრადიციულად ითვლებოდნენ არამეგობრულ ქვეყნებად. მას შემდეგ რაც უშედეგოდ დასრულდა თურქეთის სრუტეების დაუფლების ოცნება, მოსკოვი შეეცადა ურთიერთობების ნორმალიზებას და დარეგულირებას ანკარასთან. მაგრამ იმის გამო, რომ თურქეთი ნატოს სამხრეთი ფლანგის დასაყრდენი იყო, საბჭოთა არმიის გენერალურ შტაბს ის პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა. პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ნებისმიერი მტერი საბჭოთა კავშირის მეგობარი ხდებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირს მკაფიო იდეოლოგიური მიზნები არ ამოძრავებდა,როგორც ანტიიმპერიალისტურ ქვეყნებში სადაც მკაცრად სდევნიდნენ კომუნისტურ ოპოზიციას. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არც მკაცრად გამოკვეთილი ეკონომიკური ინტერესები არ გააჩნდა რუსეთს განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთისგან. ამერიკის ეკონომიკურ ინტერესს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენდა ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთი.დიდი ბრიტანეთი კი სატრანსპორტო კომუნიკაციების კონტროლისკენ ისწრაფოდა.

საბჭოთა კავშირს რეგიონში უპირველეს ყოვლისა გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნდა. იგი ცდილობდა დაესუსტებინა იმპერიალისტური ქვეყნების პოზიცია რეგიონში და სამხედრო-პოლიტიკური საყრდენი მოეპოვებინა, რაც ცალსახად მნიშვნელოვანი

იყო მისთვის , რადგან დასავლეთთან კონფრონტაციაში მთავარი ბერკეტი წარმატების მისაღწევად სწორედ სამხედრო-პოლიტიკური პლატფორმა იყო.საბჭოთა ფლოტი იყენებდა ეგვიპტის ნავსადგურებს კონკრეტულად კი „ადენს“ ზოგიერთი ადგილობრივი რეჟიმისთვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გასაწევად.

ისრაელის ჩამოყალიბების პირველ თვეებში საბჭოთა კავშირი ცდილობდა აქტიური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას ისრაელთან და ურთიერთობების ნორმალიზებას, მაგრამ მას შემდეგ რაც ნათელი გახდა რომ ფუჭი იყო ებრაული სახელმწიფო ექცია თავის სატელიტად ახლო აღმოსავლეთში, ისრაელთან ურთიერთობები ჯერ ნელთბილი გახდა 1967 წლიდან კი საერთოდ შეწყდა. 1950-იანი წლებიდან კი საბჭოთა კავშირი იწყებს აქტიურ ჩართვას ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონფლიქტებში არაბული სახელმწიფოების მხარეს.

1956 წელი „სუეცის კრიზისის“ ეგვიპტის სასარგებლოდ გადაწყვეტა არაბულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დამსახურებად მიიჩნიეს,გამომდინარე აქედან მისმა პრესტიჟმაც არნახულ დონეს მიაღწია. საბჭოთა კავშირმა აქტიურად დაიწყო სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაწევა კაიროსათვის. ეგვიპტის არმია მთლიანად აღიჭურვა საბჭოთა კავშირის ტანკებით და ავიაციით. საბჭოთა კავშირმა გაუწია მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება ეგვიპტეს . მისი წყალობით აშენდა ასუანის მაღლივი კაშხალი და ჰიდროტექნიკური კომპლექსი.

საბჭოთა კავშირის ჩართულობა რეგიონის პოლიტიკაში მარტო ეგვიპტის სამხედრო და ეკონომიკური დახმარებით არ შემოიფარგლებოდა,ის 1956 წლიდან ასევე ეხმარებოდა ჩრდილოეთ იემენს, 1957 წლიდან აქტიურ დახმარებას უწევდა სირიას, 1959 წლიდან ერაყს. 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირის ინტერესის სფერო რეგიონში გაფართოვდა და სამხრეთ იემენზეც გავრცელდა,რომლის ნავსადგური ადენი გარკვეული დროის მანძილზე საბჭოთა

კავშირის სარგებლობაში იყო. საბჭოთა კავშირი ჩაერთო რეგიონის ყველა იმ ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში,რომლებიც მისი გავლენის სფეროს გაფართოებისთვის შესაძლოა ყოფილიყო გამოყენებული.იმ ფონზე როდესაც რეგიონში დაპირისპირება არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის კიდევ უფრო მეტად მწვავდებოდა და დაპირისპირების საბოლოო შედეგი სულაც არ იყო ცალსახა, საბჭოთა კავშირმა მთელი პოლიტიკური ფსონი მაინც არაბულ სამყაროზე დადო. პირველი ფსონის დადება კი ეგვიპტეზე განახორციელა, რადგან პირველად დახმარება მას აღმოუჩინა.

მას შემდეგ,რაც საბჭოთა კავშირმა 1967 წელს გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ამერიკის შეერთებულ შტატებს რომელიც აქამდე რეგიონში დაბალანსებული პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, მიზეზი მისცა რომ აშკარად პროისრაელური გამხდარიყო და რუსეთის საპირისპირო ფლანგიდან განეხორციელებინა პოლიტიკური ბრძოლა რეგიონში მისი ინტერესების გასატარებლად. წლების განმავლობაში არაბული ქვეყნები და პალესტინა ისრაელთან კონფლიქტში ერთგვარი მედიატორის როლის შემსრულებლად ხედავდნენ საბჭოთა კავშირს, მაგრამ ისრაელთან ურთიერთობის გაწყვეტამ ეს მთავარი პოლიტიკური ნიშაც წაართვა მას და გადასცა ამერიკას. 1970იანი წლებიდან კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისრაელის მოწინააღმდეგე ქვეყნებიდან, მათ შორის ეგვიპტიდან საბჭოთა კავშირი გამოდევნა.

სირიის კონფლიქტის შიდა თავისებურებები: ბოლო 32 თვის მანძილზე სირიაში მოვლენები დრამატული სცენარით ვითარდება. პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეპრესიული მმართველობის წინააღმდეგ დაწყებული სახალხო გამოსვლები, რომელსაც რეჟიმმა სასტიკი მეთოდებით უპასუხა, დამანგრეველ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. კრიზისის გამწვავებას ხელი შეუწყო როგორც მასში მონაწილე მხარეებისადმი უცხოელი მოკავშირეების მხარდაჭერამ, ისე ქვეყნის შიგნით არსებულმა ეთნო-რელიგიური მოზაიკის სიჭრელემ და ისტორიულმა წინააღმდეგობებმა. სირიაში

არსებულ გამოუვალ მდგომარეობას ბოლო არ უჩანს და დესტაბილიზაციის საფრთხეს უქმნის ისედაც ფეთქებადსაშიშ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, სადაც მწვავე პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური მეტოქეობა არსებობს სახელმწიფოებსა თუ ეთნო-რელიგიურ ჯგუფებს შორის.

მიუხედავად იმისა რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები სარგებლობდნენ საბჭოთა კავშირის დახმარებით და მის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, რეალური მოკავშირე მას არც ჰყოლია ამ რეგიონში. ეგვიპტეც კი, რომელსაც პრეზიდენტ გამალ აბდულ ნასერის დროს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვთან,არ გამხდარა მისი ისეთვე სტრატეგიული მოკავშირე,როგორიც გახდა ისრაელისთვის ამერიკის შეერთებული შტატები. რაც გარკვეულ წილად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ ვაშინგტონსა და ისრაელს აქვთ საერთო არა მარტო პოლიტიკური ინტერესები, არამედ გარკვეულ მსოფლმხედველობით თანხვედრაშიც იმყოფებიან. ეს კი თანამშრომლობისა და მოკავშირეობისთვის აბსოლიტურად ნოყიერ ნიადაგს ქმნის. საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირეს კი მხოლოდ ტაქტიკური მიზნები ამოძრავებდა მიეღო სამხედრო დახმარება საბჭოთა კავშირისგან, რითაც შესაძლებლობა ექნებოდა ხელისუფლება შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ საკუთარი პოზიციები.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული დღემდე რუსეთი ცდილობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ კონფლიქტებში მისი როლი წარმოაჩინოს როგორც მშვიდობის მოსურნე და მისი ჩართულობა ამით გააპრავოს,ცალსახად ნათელია რომ მას აქვს თავისი პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები, რაც არის საფუძველი იმისა რომ დღემდე იმყოფება რეგიონში. რუსეთის აპელირება იმასთან დაკავშირებით რომ სირიაში სამხედრო ოპერაციების განხორციელების მთავარი მიზანი „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებაა და სხვა მოტივები მას არა აქვს რეგიონში ძალზედ პრიმიტიულად

ჩანს,რასაც ექსპერტებიც ადასტურებენ.

სირიის სტაბილურობა და სატელიტობა რუსეთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი ა,რადგანაც უპირველეს ყოვლისა, ეს მისი სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოებასთან ა რისდაკავშირებული. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რუსეთში ისლამი მეორე რელიგიაა მორწმუნეთა რაოდენობის მიხედვით. საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათ ვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის მისი მოქალაქეების გადაბირება (ძირი თადადმუსლიმების).

რუსეთსა და სირიას შორის ურთიერთობების შემდგომი განვითარებისაუცილებლობ ა განპირობებულია, აგრეთვე, ორი ქვეყნის ინტერესით, მოახდინონ თავისისაგარეო პო ლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება. სირია
რუსეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ახლო აღმოსავლეთში ეს ქვეყანა მეო რე
ადგილზეა რუსული შეიარაღების შესყიდვით, ხოლო მსოფლიოში მეშვიდეზე იმ ქვეყნ ებსშორის, რომლებიც რუსული იარაღის შესყიდვას აწარმოებენ.

აღსანიშნავია ისიც რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სუბიექტები ისრაელი და არაბული ქვეყნები, ევროპის როლს სხვადასხვა პოზიციიდან აფასებენ. ისრაელს ევროპა მთლიანად პროარაბულად მიაჩნია და სრულებით არ ენდობა მას.განსაკუთრებით (საფრანგეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია) . არაბული ქვეყნები კი პირიქით მიესალმებიან ევროკავშირის როლის გაზრდას ზემოაღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში.

„ცივი ომის“ პერიოდში ამერიკის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში განსაზღვრავდა 3 ფაქტორი: ისრაელი, ნავთობი და კომუნიზმის შეჩერება. 1990 წლების დამდეგიდან დღის წესრიგიდან მოიხსნა კომუნიზმის შეჩერება. ცივი ომის დამთავრების შემდეგაც, ამ რეგიონში ამერიკის სურვილის გამო შენარჩუნებულიყო ნავთობის სტაბილური

მიწოდება და ისრაელის უსაფრთხოება, ამერიკა განაგრძობდა სტატუს კვოს შენარჩუნებას და დახმარებას ნებისმიერი არაბული ქვეყნისათვის, რომელიც ამ სტატუს-კვოს დაიცავდა. გამომდინარე იქედან რომ შეერთებული შტატები იმიგრანტთა ქვეყანაა ბევრი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს გავლენა მოახდინოს მისი ახალი სამშობლოს პოლიტიკურ ვითარებაზე, ამ მხრივ კი ებრაელები გამოირჩევიან და ებრაული ლობი ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.ამერიკაში თითქმის იმდენი ებრაელი ცხოვრობს რამდენიც ისრაელში.მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამერიკაში მცხოვრები ისრაელების უმეტესობა შეძლებულია და დიდ ფინანსურ რესურსებს ფლობს. ამ ადამიანების ქველმოქმედება კი ხმარდება ისრაელის სახელმწიფოს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მის გაძლიერებას ანგარიშგასაწევ ძალად აღიარებას საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ყველაფრიდან ნათლად ჩანს ის მიზეზები და პრაგმატული ნაბიჯები რის გამოც ამერიკა ისრაელის ერთ-ერთი უდიდესი მოკავშირეა.

3.2. რუსეთის აქტიური პოლიტიკა სირიაში „არაბული გაზაფხულის“ ფონზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საგარეო პოლიტიკაში ახლო აღმოსავლეთის მიმართულებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.21-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და შეეცადა აღედგინა პოლიტიკური,ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა.2005-2015 წლებში სირიის პრეზიდენტი ბაშარ-ალ-ასადი 4ჯერ იმყოფებოდა რუსეთში, ხოლო 2010 წელს დიმიტრი მედვედევი სირიას ოფიციალური ვიზიტით ეწვია. საბოლოო ჯამში სირია რუსეთის მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნად იქცა. რუსეთსა და სირიას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების აუცილებლობა განპირობებულია ორივე ქვეყნის ინტერესით, რომ მოახდინონ საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება. სამხედრო პარტნიორობასთან ერთად სირია

რუსეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და რუსული იარაღის შესყიდვით მეორე ადგილზეა. სირიის სტაბილურობა და სატელიტობა რუსეთისთვის მნიშვნელოვანი პირველ რიგში იმიტომ რომ სამხრეთის საზღვრები დაცული იყოს, ამასთანავე ისლამი რუსეთში მორწმუნეთა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა,გამომდინარე აქედან საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისთვის სამოქალაქო დაპირისპირებებში მისი მოქალაქეების გადაბირება. სხვადასხვა მონაცემებით „ისლამური სახელმწიფოს" რიგებში რუსეთის რამდენიმე ათასმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში, რაც თავის მხრივ საფრთხეს ქმნის რუსეთისთვის.

2011 წელს დაიწყო სირიის სამოქალაქო კონფლიქტი რომელსაც თავისი მიზეზები ჰქონდა. არაბული გაზაფხულის ფარგლებში დაწყებული მშვიდობიანი დემონსტრაციები სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა, გაიხსნა დაპირისპირების უამრავი ფრონტი რომელსაც სხვადასხვა უკანონო შეიარაღებული ძალები უმაგრებდნენ ზურგს. ვითარების ესკალაციას ხელი შეუწყვეს შემდეგმა მოვლენებმა:

სოციალური უთანასწორობა და სიღარიბე-ასადის ეკონომიკური მოდერნიზების და განვითარების გეგმით მხოლოდ ცალკეულმა პრივილეგირებულმა ელემენტებმა ისარგებლეს, რომლებიც გამდიდრნენ. ძირითადად ქალაქში მცხოვრებმა საშუალო ფენის წარმომადგენლებმა.[10] სოფლად მცხოვრები მოსახლეობა კი გაღატაკდა. უმუშევრობამ და სიღარიბემ მოიკიდა ფეხი ყველა ასაკის მოქალაქეებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. სოციალური უთანასწორობა კი მასობრივი მღელვარებების და გამოსვლების მიზეზი გახდა.

[10] სირიის ომი ძირითადი. გვ.1. საკითხებიhttps://fabiansocialists.wordpress.com/2015/11/28/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98/

უსაფრთხოების აპარატის თვითნებობა. სირიის უსაფრთხოების სამსახურები ჯერ კიდევ ბაშარ ალ ასადის მამის, დიქტატორ ჰაფიზ ალ ასადის დროს ჩამოყალიბდა. ისინი არა ერთ საიდუმლო ქვედანაყოფს აერთიანებენ. მათი საერთო მახასიათებელი ბრუტალური და განსაკუთრებით დაუნდობელი მეთოდების გამოყენება გახლავთ.[11] „არაბული გაზაფხულის“ პირველი სირიული დემონსტრაციები მაფიის მსგავსმა სამთავრობო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა აგრესიული რეპრესიების გამოყენებით დაარბიეს და ჩაახშვეს. დააკავეს, აწამეს და დახოცეს დემონსტრაციათა ორგანიზატორებიც.
მშვიდობიანი გამოსვლების დარბევას ოპოზიციის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობა მოჰყვა.

ზოგიერთი ექსპერტი არაბულ გაზაფხულს მხოლოდ შიდა მოვლენებს უკავშირებს, ზოგიერთი კი გარე მოვლენებს. გამოყოფენ ფაქტორებს, რომელიც მითის დონეზეა. პირველი მითის მიხედვით არაბული გაზაფხული გამოიწვია იმან,რომ ობამას ადმინისტრაციამ მიატოვა ჰოსნი მუბარაქი, მეორე და მესამე მითების მიხედვით არაბული გაზაფხული გამოიწვია ისრაელ-არაბეთის სამშვიდობო გეგმამ და სადამ ჰუსეინის დაცემამ ერაყში. აშშ-ს ფაქტორმა გარკვეული როლი ითამაშა ამ კონფლიქტის წარმოშობაში, მაგრამ არა გადამწყვეტი. ძირითადი მიზეზი მაინც რეგიონში არსებული ეკონომიკური პრობლემები იყო. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალურმა ქსელებმა, რომლებმაც ბუაზიზის თვითმკვლელობის ამსახველი კადრები ვირუსულად გაავრცელეს სოციალურ ქსელებში. ამ კადრებმა კი მოსახლეობაში პროტესტის უკიდურესად მწვავე ტალღა ააგორა.

[11] სირიის ომი ძირითდი. გვ1. საკითხები.https://fabiansocialists.wordpress.com/2015/11/28/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98/

კონფლიქტის ძირითადი მოვლენების ქრონიკა იწყება ტუნისიდან. 2010 წლის 17 დეკემბერს ტუნისის პატარა პროვინციულ ქალაქში სიღარიბით უკიდურესობამდე მისულმა ახალგაზრდა მამაკაცმა მუჰამედ ბუაზიზიმ, პროტესტის ნიშნად ქალაქის მერიის წინ თავი დაიწვა. ასეთი უკიდურესი პროტესტის მიზეზი იყო მისთვის ვაჭრობის აკრძალვა, რითაც ის საკუთარ ოჯახს არჩენდა. მას არც ქრთამი გააჩნდა რომ პოლიციისთვის გადაეხადა და მოესყიდა. ბუაზიზის სიკვდილი გახდა ინსპირაცია საყოველთაო მღელვარებისა, რომელმაც თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა. დემონსტრაციისს დაშლა რომელიც ტუნისში დაიწყო სცადა პოლიციამ, რასაც 200ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თუმცა ტუნისის არმიამ უარი თქვა დაპირისპირებოდა საკუთარ მოქალაქეებს და განუდგა პრეზიდენტ ბენ ალის რომელსაც გაქცევა მოუწია. არაბულ ქვეყნებში არსებობდა დიდი უკმაყოფილება საკუთარი ქვეყნის რეჟიმების მიმართ, ტუნისის მოვლენებმა კიი ეს უკმაყოფილება მასობრივ პროტესტში გადაზარდა. 2011 წლის იანვარში საპროტესტო აქციები დაიწყო იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში, სირიაში. რეგიონს გარეთ დემონსტრაციები დაიწყო ალჟირში, მაროკოში, ლიბიაში რომელსაც მართავდა მუამარ ალ-კადაფი. ანტისამთავრობო გამოსვლები ნახევარწლიან სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა. მასობრივი პროტესტის ტალღამ მოიცვა ეგვიპტე ჰოსნი მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ. მასობრივი დემონსტრაციის დასაშლელად ეგვიპტის უშიშროების ორგანოებმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. 840 ზე მეტი ადამიანი დაიღუპა მაგრამ მუბარაქმა ხელისუფლება მაინც ვერ შეინარჩუნ, რაშიც მთავარი წვლილი არმიის გენერლებს მიუძღვით, რომლებიც არ წავიდნენ ხალხის წინააღმდეგ. 11 თებერვალს მუბარაქი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მასობრივმა საპროტესო ტალღამ აიძულა ზოგიერთი მდიდარი მონარქიები მიეღოთ პრაგმატული გადაწყვეტილებები. მოქალაქეებს გაუზარდეს ხელფასი და პენსია.

2011 წლის მარტი .ასადის რეჟიმმა აწამა ბავშვები, რომლებიც სკოლის კედლებზე „არაბული გაზაფხულის“ ლოზუნგებს წერდნენ. ბავშვების წამებას პროტესტი მოჰყვა, რომელიც დაშალეს ჯარის გამოყენებით. დაიწყო მასობრივი დაკავებები დააკავეს სტუდენტები და აქტივისტები. შექმნილი არეულობით ისარგებლეს ჯიჰადისტებმა, რომლებიც შეეცადნენ პროტესტის მონაწილეებს საკუთარი რესურსებით დახმარებოდნენ.

2011 წლის ზაფხული. დარას დემონსტრაციებს მოჰყვამშვიდობიანი გამოსვლები ჰამასა და ჰომსში, რომლებიც სირიისუსაფრთხოების სამსახურებმა ტრადიციული და ჩვეული მეთოდებით დაარბიეს. ოპოზიციური მოძრაობის მნიშვნელოვანინაწილი მშვიდობიანი წინააღმდეგობის მეთოდებისარაეფექტიანობაში დარწმუნდა. მათ სირიის არმიის დეზერტირჯარისკაცებთან და ჯიჰადისტებთან ერთად შეიარაღებაზე ზრუნვადაიწყეს, რასაც ქვეყნის რეგიონებში სამხედრო შეტაკებები მოჰყვა.დასავლეთი ასადის გადადგომის მოთხოვნით გამოვიდა.

2012 წლის ზაფხული. აჯანყებულ ძალებს ასადის რეჟიმმა სახმელეთო ჯარების გარდა საჰაერო იერიშებითაც შეუტია. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მცხოვრებმა ჯიჰადისტებმა თურქეთისადა ერაყის გავლით სირიაში მასობრივი ჩამოსვლა დაიწყეს. ისინი აჯანყებულებს შეუერთდნენ. ასადის რეჟიმმა დაიწყო კასრების ბომბების გამოყენებაც (კასრში მოთავსებული მეტალის ნაწილები,ლურსმნები და დინამიტები), რომლებსაც ხალხმრავალდასახლებულ პუნქტებში ვერტფრენებიდან ყრიდნენ. სირიისხელისუფლების ქმედებებმა უმკაცრესი კრიტიკა დაიმსახურესდასავლეთში.

2013 წლის ზაფხული და შემოდგომა. ასადმა ტერორისტული აქტების საპასუხოდ მომწამლავი გაზისა და ქიმიური იარაღისგამოყენება დაიწყო.

2014 წლის ზაფხული. აშშ ახორციელებს სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე გაძლიერებული „დაეშის“ კონტროლირებადი ოლქების დაბომბვას. ამერიკის ავიადარტყმების მთავარი სამიზნე არის „დაეში“ და არა სირიის მთავრობა.

2015 წლის ზაფხული და შემოდგომა. ირანის, ერაყის, რუსეთისადა ასადის რეჟიმის მონ აწილეობით ყალიბდება კოალიცია „დაეშის“წინააღმდეგ. რუსეთი იწყებს საჰაერო შეტე ვებს, რომელიც „დაეშზე“მეტად სირიის ოპოზიციის წინააღმდეგ არის მიმართული.თურ ქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევის გამო, თურქეთის თავდაცვის ძალები ანადგურებენ რუსულ მოიერიშეს.

საბოლოოდ მივიღეთ სისხლისმღვრელი კონფლიქტი სადაც ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა. მთავარ როლს ამ კონფლიქტში თამაშობს ასადის რეჟიმი რომელსაც აქტიურ მხარდაჭერას უწევენ (რუსეთი,ირანი და ჰეზბოლა), ზომიერი ოპოზიცია(თავისუფალი სირიის არმია) და მათი მხარდამჭერი სუნიტური ჯგუფები „დაეში“-იგივე isis, ალ-ნუსრას ფრონტი, სირიის დემოკრატიული ძალები ძირითადად პროქურთული. სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთს ქურთები აკონტროლებენ,ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილს აჯანყებულები,აღმოსავლეთს „დაეში“,დიდ ქალაქებზე კონტროლის დამყარებას კი ასადის ხელისუფლება და „ჰეზბოლა“ ცდილობენ.ასადის მოწინააღმდეგეები,რომლებიც ჩართული არიან კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატები,თურეთი,სპარსეთის ყურის ქვეყნები და ნატო, რომელიც უპირისპირდება როგორც ასადის რეჟიმს ასევე „დაეშს“.ამ უკანასკნელის როლი კი მიმდინარე კონფლიქტში ძალიან დიდია. ირანი ასადის რეჟიმის მთავარ პარტნიორად მიიჩნევა, რომელიც ერთ-ერთი გავლენიანი ძალაა სირიაში.გაეროს მონაცემებით ირანი ასადის რეჟიმის დდასახმარებლად ყოველწლიურად 6 მილიარდ დოლარს ხარჯავს.აუცილებელია განვიხილოთ ის მთავარი მიზეზები, ნრის გამოც ირანი არის ჩართული ამ კონფლიქტში და მხარს უჭერს

ასადის რეჟიმს. სირია ირანის ერთ-ეერთი მთავარი მოვალე ქვეყანაა. 2011 წლიდან 2014 წლამდე მისი ვალი 9მილიარდამდე გაიზარდა, რაც არც თუ ისე მცირე თანხაა.

ირანი არის ნავთობით მდიდარი ქვეყანა და რათქმაუნდა საჭიროებს მის ექსპორტირებას, ამისთვის კი ის იყენებს სირიის ერთ-ერთ პორტ ბანიასს,საიდანაც საკმაოდ დიდი მოცულობით ხორციელდება ნავთობის ექსპორტირება. სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას ირანის გენერლებმა და მოხალისეებმა ასადის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოიკიდეს ფეხი,გამომდინარე აქედან ირანი ცდილობს საკუთარი მოქალაქეების დაცვას რისი ვალდებულებაც გააჩნია. ირანი არის შიიტური ქვეყანა და გამომდინარე აქედან მის მოკავშირეებთან ერთად ის გარკვეულწილად აბალანსებს სუნიტების და მათი მხარდამჭერების გააქტიურებას რეგიონში.

რუსეთი არის ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე სირიაში,რომელიც დღემდე კარგად ახერხებს მისი პოზიციების დაცვას რეგიონში. ამ ყველაფერს კი ის უზრუნველყოფს ასადის რეჟიმის მხარდაჭერით როგორც ფინანსურად,ასევე სამხედრო აღჭურვილობით.რუსეთის და სირიის თანამშრომლობა ცივი ომის პერიოდიდან მომდინარეობს,არაბული გაზაფხულის მერე კი აქტიურ ფაზაში შევიდა.კონფლიქტში ჩართული ყველა ქვეყნის მსგავსად რუსეთსაც თავისი მიზნები და მიზეზები გააჩნია,რატომაც იბრძვის. მიუხედავად იმისა რომ ცივი ომი დასრულდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა რუსეთი ცდილობს არა მარტო ზესახელმწიფოს სტატუსის დაბრუნებას,არამედ რეგიონში ანგარიშგასაწევ ძალად გადაქცევას იმისთვის რომ მთელს მსოფლიოს დაუმტკიცოს თავისი სიძლიერე განსაკუთრებით კი მის მთავარ მოწინააღმდეგეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. რუსეთი არც იმაზე ამბობს უარს,რომ ჩამოყალიბდეს ფართო კოალიცია დასავლეთთან ერთად „დაეშის“ წინააღმდეგ, რომელიც მისი მხრიდან ყველაზე დიდ ბოროტებად არის შერაცხული.ამ ნაბიჯით რუსეთი ცდილობს დაამტკიცოს რომ შესაძლებელია მასთან თანამშრომლობა ისეთ

საკითხებში სადაც ინტერესთა თანხვედრა გარკვეულ დონეზე მაინც იგრძნობა მასსა და დასავლეთს შორის. რუსეთის ერთადერთი სამხედრო ბაზა მდებარეობს სირიის ქალაქ ტარტუსში და ასადის რეჟიმი სწორედ რომ სასათბურე პირობებს უქმნის რუსულ სამხედრო ძალებს, რაც სხვა რეჟიმის პირობებში გაძნელდებოდა.რუსეთი ებრძვის როგორც „დაეშს“ ასევე მის მხარეზე მებრძოლ ჩრდილოკავკასიელ ჯიჰადისტებს, რომლებიც იმუქრებიან ტერორისტული აქტების მოწყობით რუსეთში. რუსეთის ერთ-ერთმა გენერალმა განაცხადა, რომ რუსეთი იმიტომ ჩაება სირიის ომში რომ აღეკვეთა ყატარის მცდელობა სირიაში მილსადენი აეშენებინა და თურქეთის გავლით ევროპაში საკუთარი გაზი გაეტანა, რუსეთი კი გასაღების ბაზრის გარეშე დაეტოვებინა. ყატარს ისედაც გააქვს თავისი გაზი ევროპაში ზღვით და დამატებით ხარჯებს არ საჭიროებს. ეს განცხადება უფრო მეტად არის მცდელობა იმისა, რომ რუსეთის შეჭრა სირიაში იქნეს გაპრავებული და რეალური მიზეზები ფარდის მიღმა დარჩეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ისევე როგორც რუსეთს სირიის კონფლიქტში თავისი მიზნები ამოძრავებს. მისი გაცხადებული მიზანი არის,რომ ის ებრძვის ტერორისტულ ორგანიზაციებს,რომლებიც მომრავლდნენ სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე.სირიის კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობის შესახებ ინიციატივა ჯერ კიდევ ბარაკ ობამამ წამოაყენა 2013 წელს მაგრამ კონგრესმა მხარი არ დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას.მიუხედავად იმისა რომ ტრამპის საარჩევნო დაპირებაში შედიოდა აღმოსავლეთის კონფლიქტში არ ჩარევა კონფლიქტის დაწყებიდან მეექვსე წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაურევლობის პოლიტიკა დაარღვია და 2017 წლის 7აპრილს ასადის რეჟიმის წინააღმდეგ განახორციელა საჰაერო შეტევა იდლიბის პროვინციაში განლაგებულ შაირიათის ბაზის წინააღმდეგ.შეტევები აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა განახორციელეს.ტრამპის განცხადებით საჰაერო შეტევები იმის შედეგია,რომ რუსეთმა ვერ მოახერხა სირიაში ასადის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების

აღკვეთა.მაგრამ ასადი და რუსეთი კატეგორიულად უარყოფენ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტს. პუტინმა საჰაერო დარტყმებს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია უწოდა. აშშ-ში რუსეთის ელჩის ანატოლი ანტონოვის განცხადებაში ვკითხულობთ: "დაგეგმილი სცენარი განხორციელდა,ჩვენ კვლავ საფრთხეში ვართ,უკვე აღვნიშნეთ რომ მსგავსი ქმედებები უპასუხოდ არ დარჩება. მათზე სრული პასუხისმგებლობა ვაშინგტონს, ლონდონსა და პარიზს ეკისრებათ". ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ტერეზა მეიმ გაავრცელა განცხადება რომელშიც ვკითხულობთ:" ეს არ არის ინტერვენცია სამოქალაქო ომის დროს.ეს არც რეჟიმის ცვლილების მცდელობაა. ეს არის შეზღუდული და წერტილოვანი დარტყმა,რომელიც არ გამოიწვევს ვითარების ესკალაციას რეგიონში,თუმცა ყველაფერი გაკეთდება იმისთვის,რომ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში თავიდან იქნას აცილებული". ამ ბაზის განადგურებით,სადაც პენტაგონის ინფორმაციით ასადის მთავრობა ქიმიური იარაღის მარაგებს ინახავდა,პრეზიდენტმა ტრამპმა კონფლიქტს ახალი მიმართულებ მისცა. 4 აპრილს იდლიბის პროვინციაში ქალაქ შან-შეიხუნში ბაშარ-ასადმა გამოიყენა ქიმიური იარაღი. მსოფლიო კიდევ ერთი ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დადგა,წამებით დახოცილი მოქალაქეები,პოლიეთილენის პარკებში გახვეული პატარა ზომის სხეულები.მიუხედავად იმისა რომ ტრამპის ამ გადაწყვეტილების შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეებიც დაიღუპნენ, მუსლიმთა ნაწილმა საგრძნობლად შეიცვალა დამოკიდებულება მის მიმართ. აშშ-ს ეს ნაბიჯი არ ემსახურებოდა მაარტო ქიმიური იარაღის საწყობების განადგურებას,არამედ ეს იყო გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის თუ ვინ არის ზესახელმწიფო და ვინ ქმნის მსოფლიო პოლიტიკურ ამინდს. რთული სათქმელია რამდენად შეიძლება აწყობდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს სირიის ომში ღრმად ჩარევა, რადგან ერაყის ომმა მას საკმაოდ დიდი ზარალი მოუტანა დაახლოებით 738 მილიარდი დოლარის ზარალი. მეორე მიზეზი რატომაც აშშ-ს არ

ულირს სირიაში ინტენსიური ბრძოლა, სირიის მომავალი პოლიტიკური ვაკუუმია.ასადის რეჟიმს დამხობაც რომ მოხდეს მაინც არ არსებობს ერთიანი და სტაბილური სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა, ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ ჭრელია, თუმცა მათ შორის არ არსებობს ისეთი რომელიც მომავალში ამერიკის დასაყრდენი იქნება. გამომდინარე იქედან, რომ სირიული არმიის მნიშვნელოვან ნაწილს ირანული სამხედრო ძალები შეადგენენ აშშ-ს სირიაში გააქტიურებით მოუწევს მასთან საბრძოლო მოქმედებებში შესვლა.ამ დაპირისპირებისას კი ის შეიძლება მარტო აღმოჩნდეს,რადგან სპარსეთის ქვეყნების ანტიასადური განწყობები ერთგვარად შესუსტდა. საბოლოოდ ტრამპმა შეცვალა ობამას პერიოდში არსებული პოლიტიკა და თვლის რომ სირიაში ამერიკულ ჯარებს არაფერი ესაქმებათ. ეს კი იმას ნიშნავს რომ აშშ აღიარებს რუსეთის გავლენის სფეროდ სირიას და არც ყატარული მილსადენის გაყვანის შიში არა აქვს. ტრამპი მიიჩნევს რომ რუსეთი ამერიკისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. ამერიკას მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში 600-ზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული. მისი ეკონომიკა კი 21 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ამ ყველაფრის ფონზე კი რუსეთის ძირითადი ინტერესები მისი საზღვრების გასწვრივ არის მიმართული და არამტრული გარემოს უზრუნველსაყოფად იბრძვის და პროგრამა მინიმუმი ნატოს ჯარების განლაგების არ დაშვება არის და ამ მისიას ის დღემდე პირნათლად ასრულებს.ტრამპის ბოლდროინდელი გადაწყვეტილებების ერთ-ერთ საფუძვლად „ბირთვული შეკავების დოქტრინის“ არსებობაც შეიძლება მივიჩნიოთ,რის საფუძველზეც რუსეთის მხრიდან ამერიკის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენება პრაქტიკულ ასპექტებს აცდენილია და მხოლოდ თეორიულად შეიძლება მივიჩნიოთ შესაძლებლად.

სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ირანისა და სირიის რეჟიმების თანამშრომლობა. ამიტომ აქტიურად ცდიობენ ასადის დამხობას და

ირანთან თანამშრომლობის ხარისხის დასუსტებას,რადგან ირანი ცდილობს ახლო აღმოსავლეთში შიიტური ძალების მობილიზებას.შიიტების საფრთხეს უქმნიან ყატარელებისა და საუდის არაბეთის ინტერესებს იემენში, ერაყში, პალესტინაში. იმ შემთხვევაში თუ სირიაში ასადის რეჟიმი დაემხობა და ხელისუფლებაში ყატარელების და საუდელების მიერ მხარდაჭრილი პარტიები მოვლენ, ირანის საექსპორტო პოტენციალი მნიშვნელოვან კრიზისში აღმოჩნდება.[12]

გამომდინარე იქედან,რომ თითოეული ძალის პოზიცია ქვეყნის რომელიმე კონკრეტულ ნაწილში გამყარებული არ არის მიმდინარეობს ზონების გადანაწილება.ასადის რეჟიმმა საკმაოდ გაისვარა ხელი საკუთარი ხალხის სისხლში,გამომდინარე აქედან მის წინააღმდეგ არა მარტო ოპოზიცია და აჯანყებულები არიან დარაზმული, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები. ასადის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა შორის,რომელიც საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: მასობრივი მკვლელობები და სამხედრო ტყვეების დახვრეტა, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ რაკეტების გამოყენება, სამედიცინო ობიექტებისა და მარაგების განადგურება, მასობრივი შიმშილი მოსახლეობაში.

ძირითადი დაპირისპირების ადგილად სირიაში ქალაქი ალეპო იქცა,რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და ერთ დროს ძლიერი ეკონომიკით გამორჩეული ქვეყნის მთავარი ბიზნეს ქალაქი იყო. ბრძოლა რომელიც დაიწყო 2012 წლის 10 ივლისს უდიდესი მილიტარული კონფლიქტი იყო ჰეზბოლას,თავისუფალ სირიულ არმიას, შიდა სამხედროების, რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ასადის მთავრობასა და ქურთი ხალხის დამცველების გაერთიანებას შორის. 2015 წელს რუსეთმა საჰაერო შეტევები განახორციელა სირიაზე,რომელიც ოფიციალური

[12] სირიის კონფლიქტი-ახლო აღმოსავლეთის ავანსცენა. გვ1. http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473

მოსკოვის განცხადებით მიზნად ისახავდა ტერორისტების განადგურებას თუმცა მეორე მხარის მტკიცებით ამ ავიაიერიშების მთავარი სამიზნე ამბოხებულები იყვნენ. ექვის თვის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მისია შესრულებულად ჩათვალა და ბრძანება გასცა სამხედრო ძალების დიდი ნაწილი გამოსულიყო სირიიდან. თუმცა ეს ნაბიჯი რუსეთის ფასადური პოლიტიკის ნაწილი იყო და 2016 წლის დეკემბერში,რუსეთის მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმების შედეგად ამბოხებულთა მიერ კონტროლირებად აღმოსავლეთი ალეპო ისევ ხელისუფლების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ბრძოლა ალეპოში სამოქალაქო საზოგადოების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, სკოლებზე და სააავადმყოფოებზე განხორციელდა თავდასხმები, დაიბომბა სამოქალაქო ადგილები. სამხედრო თვალსაზრისით ალეპოს აღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია რეჟიმისთვის,მაგრამ კონფლიქტს დასასრული არ უჩანს. ასადის მთავარ მიზანს ოპოზიციის საბოლოოდ განადგურება და მთელს ქვეყანაზე კონტროლის აღდგენა წარმოადგენს, ხოლო ოპოზიციაც თავის მხრივ არ აპირებს უკან დახევას და ასადის რეჟიმის დასამხობად განაგრძობს ბრძოლას.მას შემდეგ რაც ალეპო აიღეს სამთავრობო ძალებმა რუსეთის დახმარებით ამბოხებულები იძულებული გახდნენ იდლიბის პროვინციაში გადაენაცვლებინათ და ის გამხდარიყო მათი მთავარი ცენტრი,სადაც სალაფისტური დაჯგუფებები არიან მოძლიერებული,რომლებსაც წარსულში ალ-კაიდასთან კავშირი ჰქონდათ. 2015 წლიდან სირიის კონფლიქტში ასადის მხარეზე რუსეთის პირდაპირმა სამხედრო ჩარევამ ომის ბედზე გადამწყვეტი როლი შეასრულა. ხმელეთიდან ალეპოს ასადისა და ირანის გაერთიანებული ჯარები უტევდნენ,ჰაერიდან კი რუსული თვითმფრინავები ბომბავდნენ. ალეპოს დაცემა განსაკუთრებით სისხლიანი აღმოჩნდა,რომელმაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გამომდინარე აქედან გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარმა ასადის ამ ნაბიჯს სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია მისცა.

ცეცხლის შეწყვეტაზე. რუსეთის სამხედროებმა ამერიკელ კოლეგებს გადასცეს იმ შეიარაღებული ფორმირებების სია, რომლებიც შეუერთდნენ ცეცხლის შეწყვეტის განცხადებას. 2016 წლის 26 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია სირიაში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ამ დოკუმენტის პროექტი შემუშავდა აშშ-სა და რუსეთის მთავრობების მიერ. შეთანხმება გულისხმობს, რომ საბრძოლო მოქმედებები წარმოებული იქნება მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

არაბული გაზაფხულის დაწყებიდან დღემდე ბევრი შეთანხმება დაიდო,რომელთა უმეტესობაც დარღვეულ იქნა. ძირითადად ეს ხელშეკრულებები ალეპოში ცეცხლის შეწყვეტას გულისხმობდა, მაგრამ მათი შეუსრულებლობის გამო მივიღეთ უამრავი დაღუპული სამოქალაქო პირი და ჰუმანიტარული კატასტროფა,რომლის მთავარი შემოქნედებიც ასადის რეჟიმი და მისი მოკავშირე რუსეთი აღმოჩნდნენ.ცეცხლის შეწყვეტის სულ ბოლო შეთანხმება, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი მედიატორის როლს თამაშობდნენ ძალაში 2016 წლის 12 სექტემბერს შევიდა. ასადის რეჟიმი კი ალეპოს დაბომბვას არ წყვეტდა რუსული თვითმფრინავების დახმარებით, სადაც იბომბებოდა საავადმყოფოები,სკოლები და შეუძლებელი გახდა გაეროს მხრიდან ამ ტერიტორიაზე შესვლა და მოსახლეობის დახმარება. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამ საბოლოო კრახი განიცადა 19 სექტემბერს,როდესაც გაეროს ჰუმანიტარული კოლონა დაიბომბა. ეს იყო ბოლო წვეთი მოთმინების ფიალაში საერთაშორისო საზოგადოებისთვის. მან უკვე ღიად დაადანაშაულა რუსეთი ასადის რეჟიმის მხარდაჭერაში და მოითხოვა რუსეთის მიერ სირიაში ჩადენილი სამხედრო დანაშაულის საერთაშორისო სასამართლოების მხრიდან გამოძიება. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა საბოლოო ჯამში არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი ქმედითი რომ ასადი და მისი მოკავშირე რუსეთი შეეჩერებინა და ალეპოც დაეცა.ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ არაბული გაზაფხულის ფონზე დაწყებული არეულობით ისარგებლა

ექსტრემისტულმა ძალებმა და სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე შექმნა თვითგამოცხადებული „ისლამური ხალიფატი“. ფორმალურად სწორედ ამ ორგანიზაციის „დაეშის“ წინააღმდეგ იბრძვის ირანი, რუსეთი მაგრამ რუსეთის ავიაიერიშების მთავარი სამიზნე არის ოპოზიციური ძალები. დაეშს ყველაზე გამაგრებული პოზიციები აქვს ერაყის ქალაქ მოსულში, რომლის აღებაც შესაძლებელს გახდის მისი პოზიციები შესუსტდეს, მაგრამ ირანი და რუსეთი ამაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.

2011 დაწყებულ სირიის კონფლიქტში თავდაპირველად ბრძოლა სახელისუფლებო დანაყოფებსა და „სირიის თავისუფალ არმიას“ შორის მიმდინარეობდა. შემდეგში ამ ბრძოლაში ჩაერთვნენ „ფრონტ ანნუსრასა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები. მას შემდეგ რაც ისლამურმა სახელმწიფომ დაიპყრო სირიისა და ერაყის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, 2014 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა განახორციელეს სამხედრო ინტერვენცია. 2014 წლიდან ისლამისტების პოზიციებზე მათ სამხედრო შენაერთებს იერიშები მიჰქონდათ.კონფლიქტის მიმდინარეობის განმავლობაში დაახლოებით 300ათასი ადამიანი დაიღუპა,მათ შორის უმეტესობა ბავშვები. ეკონომიკამ და ინფრასტრუქტურამ ძალიან დიდი ზიანი განიცადა. კონფლიქტის შედეგად სირიის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა 12 მილიონმა ადამიანმა საცხოვრებელი სახლები დაკარგა. 7 მილიონამდე ადამიანი არის დევნილი ქვეყნის შიგნით. 2 მილიონმა ადამიანმა თავი თურქეთს შეაფარა.600 ათასამდე ადამიანი კი თავს იორდანეს აფარებს.[13]2 014 წლის მონაცემებით 120 ათასმა ადამიანმა თავშესაფარი მოითხოვა ევროკავშირის ქვეყნებისგან,რომლებიც ძირითადად შვედეთსა და გერმანიაში ითხოვენ თავშესაფარს.მიგრანტთა რაოდენობა 2015 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიგრაციული ნაკადის კონტროლი თითქმის

[13] სირია განადგურების ზღვარზე-არაბული ჰოლოკოსტი. გვ1. http://eugeorgia.info/ka/articleblog/38/siria-ganadgurebis-zgvarze-arabuli-holokosti/

შეუძლებელი გახდა, რისთვისაც ევროპის ქვეყნებმა სათანადო ღონისძიებები გაატარეს.

„არაბული გაზაფხულის“ სახელით დაწყებულმა დაპირისპირებებმა თითქმის მთელი რეგიონი მოიცვა და ახლო აღმოსავლეთი კრიზისში შეიყვანა. მასობრივი მღელვარებები და გამოსვლები დაიწყო რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში. რასაც საფუძვლად ედო მასობრივი შიმშილი, სახელისუფლებო ძალების რეპრესიული პოლიტიკა თავიანთ მოსახლეობაზე, სიტყვის და აზრის თავისუფლების არ არსებობა, მოსახლეობის გარკვეული სპექტრის გამდიდრება სხვა ნაწილის გაღატაკების ხარჯზე. მთელი ეს პრობლემათა ფართო სპექტრი გახდა მიზეზი მასობრივი გამოსვლებისა და დაპირისპირებისა. ამ გამოსვლების მთავარ ინსპირატორად კი ტუნისელი ახალგაზრდა იქცა, რომელმაც მერიის შენობის წინ პროტესტის უკიდურესი ფორმა გამოიყენა და თავი დაიწვა. მისმა ამ ნაბიჯმა სამოქალაქო სზოგადოებაში ყოველგვარი შიში გააქრო სახელისუფლებო დიქტატორების მიმართ, რაც აქამდე მათ აიძულებდათ თავი შეეკავებინათ გამოსვლებისა და მანიფესტაციებისგან. ტუნისში დაწყებული მღელვარება ლიბიას, სირიას, ეგვიპტეს, იორდანიას გადაედო. ამ კონფლიქტში ჩაერთვნენ საერთაშორისო აქტორები, რომლებსაც თავისი ინტერესები გააჩნიათ რეგიონში. განსაკუთრებით კი ორი დაპირისპირებული სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი.ამ ორი სახელმწიფოს ჩართულობა სირიის კრიზისში ცალსახად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ეს კრიზისი დღემდე გრძელდება. სირიის კონფლიქტის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ,რომლის გამოყენებასაც ასადს მიაწერენ. სწორედ ქიმიური იარაღის მარაგის განადგურების საბაბით განახორციელეს: ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ერთობლივმა ძალებმა საჰაერო დაბომბვები. ქიმიურ თავდასხმებთან დაკავშირებულ ფაქტებს, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასთან არსებული ფაქტების დამდგენი სპეციალური მისია იძიებს. რომელიც

ეყრდნობა როგორც საკუთარ ანალიზს, ასევე თვითმხილველების და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. 2011 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნა შექმნა სპეციალური კომისია,რომელიც ადამიანის უფლებების სფეროში დანაშაულებს გამოიძიებს. ამ კომისიამ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების 33 ფაქტი დააფიქსირა. 27 შემთხვევაში ქიმიური იარაღის გამოყენებას ასადს მიაწერენ. 2014 წელს სირია შეუერთდა ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციას და თავისი ტერიტორიიდან ყველა დეკლარირებული მარაგი მეთვალყურეობის ქვეშ გაიტანა. ქიმიური იარაღის სრული განადგურების შესახებ კი ინფორმაცია 2016 წელს დასრულდა. მიუხედავად ამისა ცნობები ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ არ შეწყვეტილა. ყველაზე მასშტაბური კი 2017 წელს იდლიბის პროვინციაში მოხდა და 80 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.სწორედ ამას მოჰყვა აშშ-ს საპასუხო თავდასხმა,რომელიც გამოძიების ოფიციალურ შედეგებს არც დალოდებია.

სირიის კამპანიამ მიწასთან გააასწორა და გაანადგურა ეს ქვეყანა. შეიწირა ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადები დაძრა ევროპის სახელმწიფოებისკენ.რუსეთმა შეინარჩუნა თავისი ინტერესები სირიაში გააძლიერა სამხედრო ბაზები და გახდა თურქეთის სტრატეგიული მოკავშირე.ბაშარ ასადმა შეინარჩუნა ხელისუფლება და ტერიტორიული მთლიანობა რუსეთის მხარდაჭერით. მიუხედავად ამისა რომ რუსეთის სამხედრო ნაბიჯებმა საერთაშორისო საზოგადოების თვალში რუსეთის დისკრედიტაციის ხარისხი კიდევ უფრო მეტად გაზარდა, პუტინმა ყველას დაუმტკიცა რომ მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს და პოლიტიკური ამინდის შექმნაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორია. ამერიკის შეერტებულმა შტატებმა თავისი ნაბიჯებით გარკვეულწილად ფიასკო განიცადა სირიაში,რაც საბოლოოდ ტრამპის გადაწყვეტილებითაც დადასტურდა როდესაც მან სირიიდან ამერიკული ჯარების

გაყვანა დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატები არ შეეცადა მისი მოკავშირე სპარსეთის ყურის ქვეყნები და თურქეთი ამ პროცესში ჩაერთო. მისმა ჩაურევლობამ რადიკალ ისლამისტებსა და ჯიჰადისტებს საშუალება მისცა კონფლიქტში ჩართული მთავარი ძალები ყოფილიყვნენ. გამომდინარე იქედან რომ აშშ-ს გაცხადებული მიზანი არის მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლა, ის ვერ შევა ალიანსში ამ ორგანიზაციებთან ასადის რეჟიმის დასამხობად. ხოლო რუსეთს ამ ორგანიზაციების გააქტიურებამ ხელი შეუწყო, რომ ამ კონფლიქტში ლეგიტიმურად ჩართულიყო და ასადის მთავრობა ტერორისტული ორგანიზაციებისგან დაეცვა. რუსეთი რადიკალი ისლამისტების გარდა სირიაში ებრძვის ისლამურ სახელმწიფოსაც და ამ ნაბიჯით ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით ამერიკასაც სერიოზულ კონკურენციას უწევს. პუტინს არ სჯერა იმის რომ ასადის რეჟიმის შეცვლის შემდეგ სირია პლურალისტული დემოკრატიის ქვეყნად იქცევა, ამიტომაც მკაცრი და რკინის ხელით მმართველი ადმინისტრატორის არსებობის აუცილებლობას ხედავს, რომლის როლშიც თვითონ გამოდის.აშშ-ს პოლიტიკურ კრახს სირიაში ისიც ადასტურებს რომ ასადის რეჟიმი ისევ დარჩა ხელისუფლებაში.გაჩნდა ასტანის ფორმატში მოლაპარაკებები, რომელშიც აშშ არ მონაწილეობს და რუსეთის და თურქეთის ინიცირებით მიმდინარეობს. აშშ-ს როლი მხოლოდ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში გამოიხატა. კონფლიქტის მოგვარება რთულ პროცესად იქცა და მომავალშიც ეთნოკონფესიური დაპირისპირებების,გავლენის სფეროების გადანაწილების,რეგიონული ამბიციების შეჯახების ფონზე წარიმართება. არაბულმა გაზაფხულმა გამოკვეთა რამდენიმე გარემოება 1) სახელისუფლებო რეჟიმებისთვის მუდმივი ძალაუფლება არ არსებობს და მათ მეტი პასუხისმგებლობა მართებთ საკუთარი მოქალაქეების წინაშე, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლების დამხობა. 2) მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ქვეყნები მოიხსენიებიან როგორც „მესამე სამყაროს ქვეყნები“, დაბალი

პოლიტიკური კულტურის, სიღარიბის და ავტორიტარული რეჟიმების არსებობის გამო,სოციალური ცვლილებებისკენ სწრაფვა მათთვისაც მნიშვნელოვანია.

3.3.ტერორისტული ორგანიზაციები და სირია

სირიაში და თითქმის მთელს ახლო აღმოსავლეთში მძლავრად მოიკიდეს ფეხი ტერორისტულმა ორგანიზაციებმა.არაბული გაზაფხული გახდა კიდევ უფრო მეტი ინსპირაცია ასეთი ორგანიზაციებისთვის,რომლებიც იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ და გაცხადებულად დაიწყეს ბრძოლა.სირიაში დაწყებული დაპირისპირების კვალდაკვალ ტერორისტული ორგანიზაციები განაგრძობდნენ ოპოზიციური ძალების დაფინანსებას სახელისუფლებო ძალების წინააღმდეგ.გამომდინარე იქედან რომ ტერორიზმი აღიარებულია 21 საუკუნის ყველაზე დიდ საფრთხედ და გამოწვევად მთელი მსოფლიოსთვის.აქტიურად მიმდინარეობს საერრთაშორისო საზოგადოების მხრიდან ტერორიზმთან ბრძოლა.მათ შორის კი ამერიკის შეერთებული შტატები,რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ღონეს ხმარობს.განსაკუთრებით მას შემდეგ რაც 2001 წლის ტერაქტი განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ისლამური სახელმწიფო“(ISIS)-იმისათვის რომ ისლამური სახელმწიფოს მიზნებსა და მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, აუცილებელია ვისაუბროთ თუ საიდან იღებს სათავეს და სად არის მისი საწყისები. 2010 წლიდან აბუ ბაქრ-ალ-ბაღდადი „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი გახდა, რომელიც ექვემდებარებოდა „ალ-ქაიდას“. ის 2011 წელს სირიაში აგზავნის თავის წარმომადგენელს, რათა დააფუძნოს „ალ-ნუსრას-ფრონტი“ და ჯიჰადისტური მოძრაობა გააფართოოს. 2013 წლის დასაწყისამდე აისისი და ალ-ნუსრა

ერთობლივად მოქმედებდნენ.ამუ ბაქრ-ალ-ბაღდადი მარტო ამით არ კმაყოფილდება და ის ცდილობს ალ-ქაიდას მფარველობაში შემავალი ყველა დაჯგუფება გააერთიანოს.ამ მიზნის მისაღწევად 2013 წელს ის გადადის სირიაში და იქ არსებული რადიკალური ჯგუფის წარმომადგენლებთან მართავს შეხვედრებს.ამ მოლაპარაკების შემდეგ კი ალ-ბაღდადი ავრცელებს განცხადებას, რომელშიც ის ISI და AL-NUSRAS გაუქმებაზე საუბრობს და ერთიან ისლამურ სახელმწიფოს სირიასა და ერაყში აყალიბებს.ამ მოვლენას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა ჯიჰადისტური სამყაროსთვის. "ალ-ქაიდას" გამოეყო მისი ერთ-ერთი ნაწილი ISIS და მისი მეორე ნაწილი AL-NUSRA გაუქმებულად გამოაცხადა. ჩამოაყალიბა ტერიტორიული ერტეული, რომლის შექმნას ეწინააწმდეგებოდა „ალ-ქაიდას" ლიდერი ოსამა ბინ-ლადენი და შემდგომში აიმან ალ-ზავაჰირი.

მიუხედავად იმისა რომ ერაყისა და ავღანეთის კამპანიების შემდეგ ISIS-მა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ბარაკ ობამას ხელმძღვანელობით თავდაპირველად თავს იკავებდა უშუალოდ სამხედრო ინტერვენციისაგან,საბოლოოდ მაინც მოუწია გადაედგა ქმედითი ნაბიჯები ISIS-ის წინააღმდეგ.2014 წლის 7 აგვისტოს მან გამოაცხადა საჰაერო დარტყმები და აქტიურად დაიწყო კამპანია კოალიციის შესაქმნელაად.პ ირველად კოალიციის შექმნა ნატოს სამიტზე გადაწყდა, რომელთა წევრები ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორები: გერმანია, საფრანგეთი,დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, თურქეთი, დანია და იტალია გახდნენ. 2015 წლის თებერვლიდან 2017 წლის იანვრამდე აშშ-ს თავდაცვის მდივნის ეს კარტერის თანამდებობაზე ყოფნის დროს ISIS ძლიერების ზენიტშია. მას აღებული აქვს მოსული, ნავთობის მომპოვებელი საკვანძო პუნქტების ჩათვლით, ასევე რაქა სირიაში და ერაყ-სირიის საზღვრის მიმდებარე მიმდებარე ტერიტორია.ამით კი ისლამურმა სახელმწიფომ უზრუნველყო საქონლის და იარაღის თავისუფალი გადაადგილება.

ISIS-სთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილების წართმევა ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში მოხერხდა და ამ მიმართულებით მას დიდი წვლილი მიუძღვის. პენტაგონმა ერაყსა და სირიაში მყოფ სამხედრო ძალებს უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა, რამაც თავისი პოზიტიური შედეგი გამოიღო ტერორისტულ ორგანიზაციასთან ბრძოლაში და ეფექტურობის ხარისხი მაქსიმალურად გაზარდა. 2015 წელს კონფლიქტში ჩაერთო რუსეთი,რამაც თავის მხრივ მძიმე შედეგები მოიტანა ისლამური სახელმწიფოსთვის.2017 წლის დასაწყისისთვის რუსეთს უკვე განხორციელებული ჰქონდა 71000 საჰაერო თავდასხმა. მიუხედავად იმის რომ რუსეთის განცხადებით ეს დარტყმები მარტო ისლამური სახელმწიფოს მიმართ ხორციელდებოდა რუსეთის სამიზნე იყო აგრეთვე ის ოპოზიციური ძალები,რომელიც ამერიკის შეერტებული შტატებიდან ფინანსდებოდა სირიის ხელისუფლების დასამხობად.

ISIS-ის მიზანს წარმოადგენს ისლამური სამართლის მისეულ ვერსიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც გააკონტროლებს საზოგადოებრივ და ადამიანების პირად ცხოვრებასაც კი, ასევე სირიისა და ერაყის ტერიტორიების გაწმენდა „ურწმუნოებისაგან“ (ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი მეორე თანრიგის ადამიანებად გადაქცევა).[14]

ისლამური სახალიფოს“ იდეოლოგია მოქცეულია სალაფიტური მოძღვრების ჩარჩოებში. ეს იდეოლოგია ამოფარებულია კონსერვატიულ ნიღაბს, სინამდვილეში კი ექსტრემისტულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ის ქადაგებს რელიგიის სახელით ძალადობას და ყველას ვინც არ ეთანხმება ამას ურწმუნოდ მიიჩნევს,აუცილებელია

[14] ისლამური სახელმწიფო აღზევება და დაცემა. გვ.1.
https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/?fbclid=IwAR3Rd2TLJs8tt7YB5P18eA424UEG8hjmfalAozwk06PqNnCfXSjpScuXc94

ლოცვების შესრულება, რომელიც მკაცრად კონტროლდება.[15] არასუნიტური ნაგებობები კი მუდმივი ნგრევის ობიექტია.ამ იდეოლოგიის ექსტრემიზმი და ძალადობრივი ხასიათი ბევრჯერ იქნა გამოვლენილი და დამტკიცებული.ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა."ისლამური სახელმწიფო" ცდილობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ არის დანერგოს განათლების ისეთი სისტემა, რომელიც საკუთარ ხედვებზე იქნება დამყარებული. აკრძალულია მუსიკა ყველგან ყველა ადგილზე.

„ისლამური სახელმწიფო" აქტიურად ახორციელებს მომხრეების შემოერთებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.მას უერთდებიან სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგი რწმენის,ზოგი გასამრჯელოს გადახდის გამო.არსებული ინფორმაციით დასავლეთის 3000 მოქალაქე იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს" რიგებში.ისინი სირიასა და ირანში ძირითადად თურქეთის მხრიდან შემოდიან.ფრანგი მუსლიმების უფრო დიდი ნაწილი უჭერს მხარს „ისლამურ სახელმწიფოს", ვიდრე ღაზას სექტორში მცხოვრები პალესტინელი არაბები.ისლამური სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს რეკრუტირების დაფინანსებას.თანხა რომელსაც უხდიან 10000 დოლარამდე აღწევს,ეს კი საკმაოდ დიდი ანაზღაურება დაინტერესებისთვის. "ისლამური სახელმწიფოს" წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მუსლიმი და მას ამისთვის დიდი გამოცდილება და რამე განსაკუთრებული მიღწევები არ სჭირდება. ამის გამო სახელმწიფო უშიშროების სამსახურებისთვის მეტად დიდ სირთულეს წარმოადგენს მათი გამოვლენა, სანამ უშუალოდ არ ჩაებმებიან ტერორისტულ მისიებში და ტერორისტული საქმიანობის განხორციელებაში.

ისლამური სახელმწიფოს მიერ თავის კონტროლირებად ტერიტორიაზე გატარებული საგადასახადო წესები და გადასახადის აკრეფა მძიმე ტვირთად დააწვა

[15] Isis-ის იდეოლოგია,პოლიტიკა და მოქმედების მეთოდები. გვ.1. https://militarium.org/islamuri-saxelmwifo/?fbclid=IwAR24q712ezyVxoiI-WW_N5_f4IfVXo_obPqct9NYIDLWoIdDVyVQ_WUm4Oo

მოსახლეობას. ადგილი აქვს სპეკულაციებს და ქონების ჩამორთმევას. ისლამური სახელმწიფოს სიძლიერე ფინანსურად განპირობებულია იმით, რომ ის აკონტროლებს ნავთობით მდიდარ ტერიტორიებს და ნავთობიდან მიღებული შემოსავალი ყოველდღიურად მილიონ დოლარს აღწევს. გამომდინარე ამ სოლიდური შემოსავლიდან ის ადვილად ახერხებს ისეთი ადამიანებიც კი შემოიერთოს მის რიგებში, რომლებიც იდეოლოგიურად შეიძლება არც ისე ახლოს იდგნენ მაგრამ დიდი გასამრჯელოს ფასად თანხმდებიან ისლამური სახელმწიფოს რიგებში ჩარიცხვას და მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში. ისლამურ სახელმწიფოზე საუბრისას უპრიანი იქნება ვისაუბროთ იმ ურთიერთობებზე, რომელიც მას გააჩნია სხვა რადიკალურ დაჯგუფებებთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით „ალ-ქაიდასთან“. ეს ორი რადიკალური ჯგუფი ამჟამად ერთმანეთთან დაპირისპირებულია. თუ ისტორიულ ჭრილში გადავიხედავთ დავინახავთ რომ მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა მათ სტრატეგიებს შორის. ბინ ლადენი ფიქრობდა რომ საჭირო იყო სუნიტთა და შიიტთა გაერთიანება მსოფლიო ურწმუნოთა წინააღმდეგ და მათ მიმართ რადიკალური საშუალებებით ბრძოლა. მეორე მხარე კი თვლიდა რომ რჯულგამდგარი შიიტები და სუნიტები უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ვიდრე მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები.

ზოგადად, რადიკალურ ისლამისტურ მოძრაობებში არათუ ერთიანობა, არამედ მკვეთრი დაპირისპირებაც კი არსებობს. დღეისათვის იმავე სირიაში ხუთი ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალა შეიძლება გამოვყოთ: **ასადის ხელისუფლება, „ისლამური სახელმწიფო“, სეკულარული „თავისუფალი სირიის არმია“, „ალკაიდასთან“ დაკავშირებული ისლამისტ-რადიკალთა ჯგუფები** და **ჯიჰადისტი ჯგუფები**, რომლებსაც არც “ალ-ქაიდასთან” აქვთ კავშირი და არც ISIS-თან.[16] დღეს

[16] ISIS-ის იდეოლოგია,პოლიტიკა და მოქმედების მეთოდები. გვ1. https://militarium.org/islamuri-saxelmwifo/?fbclid=IwAR24q712ezyVxoiI-WW_N5_f4IfVXo_obPqct9NYIDLWoIdDVyVQ_WUm4Oo

ჩანს, რომ „სახელმწიფო“ გარკვეულ ტერიტორიებს საკმაოდ მყარად აკონტროლებს. ცდილობს ახალი მებრძოლების მოზიდვას და ჯგუფების შექმნას არაერთ ქვეყანაში, რაც მისი გლობალური ამბიციების მაჩვენებელია და იმ მიზნისა, რომ საერთაშორისო ჯიჰადისტურ მოძრაობაში ჩაენაცვლოს „ალ-ქაიდას.

ამგვარად, იკვეთება მთავარი – ისლამური სახელმწიფო გლობალური ტერორიზმის ცენტრი ხდება. „ისლამური სახელმწიფო“ ცნობილი გახდა მასობრივი მკვლელობებით, რომელთაც ტერორისტები იღებდნენ და სოციალური ქსელებით ავრცელებდნენ. მათ სურდათ ეჩვენებინათ საკუთარი ძალა და უნდოდათ, რომ მსოფლიოს კარგად აღექვა მათი გზავნილი – თუ რაოდენ სერიოზულად იღვწოდნენ დასახული მიზნის მისაღწევად. ეს რეალობა 2014 წლის აგვისტოდან გახდა ცნობილი, როდესაც ინტერნეტით გავრცელდა არაერთი დასავლელი ჟურნალისტისათვის თავის მოკვეთის კადრები. ეს ჟურნალისტები არაფერს ვნებდნენ „სახელმწიფოს“, მაგრამ ისინი პაიკები აღმოჩდნენ ISIS-ის თამაშში, რომლითაც ის ცდილობდა მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ მას არც ერთი ქვეყნის და არანაირი მუქარის არ ეშინოდა.

2011 წელს დაიწყო პოპულარული ამბოხება ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ და ვინაიდან სირიაში მმართველი ელიტა ალავიტები, ანუ შიიტების ერთ-ერთი სექტა იყო, ისლამურმა სახელმწიფომ ასადის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. მოგვიანებით ბაღდადიმ ტერორისტულ ჯგუფს სახელი შეუცვალა და ისლამური სახელმწიფო ერაყი და სირია დაარქვა, რაც ხაზს უსვამდა ამ ჯგუფის დიდ ამბიციებს. მეტიც, ორგანიზაციის შავ დროშაზე თეთრად წერია “არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა”. ყველაზე დიდ წარმატებას ჯგუფმა 2014 წელს მიაღწია, როცა დომინოს პრინციპით აიღო მოსული და სხვა ქალაქები ერაყში - შემდეგ კიდევ ერთხელ გარდაისახა და “ისლამური სახელმწიფო” გახდა, რომლის მიზანიც ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთის ყურემდე ისტორიული ხალიფატის აღდგენაა.

2011 წელს დაწყებული არაბული გაზაფხული,რომელიც თავდაპირველად დემონსტრაციებით დაიწყო სასტიკ სისხლისღვრაში გადაიზარდა.სირიის კრიზისი,რომელმაც ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა დღესაც გრძელდება.სირიაში დაპირისპირებული შიდა ძალებიდან აღსანიშნავია სახელისუფლებო ძალები,რომლებსაც ასადი აკონტროლებს,ოპოზიციის სამხედრო დაჯგუფებები და ასადის მთავარი მოწინააღმდეგე „ისლამური სახელმწიფო“ რომლის წინააღმდეგაც ასადის რეჟიმთან ერთად რუსეთიც იბრძვის,რადგან სწორედ ის წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს სირიის პრეზიდენტისთვის.ასადის ხელისუფლებიდან წასვლა კი რუსეთის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს.ასადის ხელისუფლების მეშვეობით რუსეთი ინარჩუნებს თავის გეოსტრატეგიულ მიზნებს რეგიონში და ძლიერი სახელმწიფოს სტატუსსაც ირგებს.გამომდინარე იქედან რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ტერორიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს ვაშინგტონიც აქტიურად იბრძვის ტერორისტების წინააღმდეგ.ამის პარალელურად კი დახმარებას უწევს იმ ძალებს რომლებიც ასადის რეჟიმის დასამხობად იბრძვიან.

სირიის მთავარ ოპოზიციურ ძალას დღეისათვის „სირიის თავისუფალი არმია“ წარმოადგენს. ფორმირება 2011 წელს ქვეყნიდან გაქცეულმა არმიის ოფიცრებმა ჩამოაყალიბეს. მათ მთავარ სამიზნეს ბაშარ ასადი, მთავარ მიზანს კი მოქმედი რეჟიმის დამხობა წარმოადგენს. შექმნიდან რამდენიმე თვეში თავისუფალ არმიას კიდევ ერთი ახლადშექმნილი ფორმირება „თავისუფალ ოფიცერთა მოძრაობა“ შეუერთდა. ოპოზიციური არმიის 90 პროცენტს სუნიტები, 15 პროცენტს ქურთები, 5 პროცენტს კი ალავიტები შეადგენენ. 2015 წლის ივლისის მონაცემებით, „თავისუფალ არმიაში“ 45-დან 60 ათასამდე მებრძოლი ირიცხება. ისინი ასევე რუსული წარმოების იარაღით არიან აღჭურვილნი. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ფორმირებისთვის საჰაერო მხარდაჭერის არარსებობა წარმოადგენს. ამის გამო ისინი ასადის მომხრე

ფორმირებებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. მათ მფლობელობაშია მძიმე ჯავშანტექნიკაც, რომელიც სირიის სახელისუფლო ძალების უკან დახევისას ალაფად ჩაუვარდათ, თუმცა ისინი საგრძნობლად მოიკოჭლებენ არტილერიაშიც.

კიდევ ერთი შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც სირიის ტერიტორიაზე მოქმედებს, „ისლამური ფრონტია.“ ფორმირება 45 ათასამდე მებრძოლს ითვლის. დაჯგუფება 2013 წელს შეიქმნა და მის მთავარ მიზანს ასადის რეჟიმის დამხობა და ისლამიზმზე ორიენტირებული სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს. „ისლამური ფრონტისა“ და „ალ-ქაიდას“ შეხედულებები პრაქტიკულად იდენტურია. „ფრონტი“ არამხოლოდ ასადის რეჟიმს, არამედ „ისლამურ სახელმწიფოსაც“ ებრძვის.

ახლა "ისლამური სახელმწიფო", როგორც ორგანიზებული სტრუქტურა, აღარ არსებობს, ის მანამდე დაპყრობილი ტერიტორიების მხოლოდ 3%-ს აკონტროლებს. ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი სავარაუდოდ მოკლულია მრავალრიცხოვანი ავიადარტყმების დროს. ყოველ შემთხვევაში, მისი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობილი არაფერია, ხოლო ალ-ბაღდადის შესაძლო მოკვლის შესახებ ცნობა, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 2017 წლის ივნისში გაავრცელა, არავის დაუდასტურებია, მაგრამ არც უარუყვია.

ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: ვინ დაამარცხა ისლამური სახელმწიფო?მის დამარცხებაში მონაწილეობა მიიღო სირიამაც, ერაყმაც, რუსეთმაც და საერთაშორისო კოალიციამაც აშშ-ის ხელმძღვანელობით, ასევე ადგილობრივმა მოხალისეებმა ქურთების შეარაღებულ რაზმებთან ერთად. სირიის არმია რუსეთის ავიაციის და ექსპერტების მხარდაჭერით ებრძოდა არამხოლოდ "ისლამურ სახელმწიფოს", არამედ სხვა ჯგუფებსაც, კერძოდ ბაშარ ასადის მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ დაჯგუფებებს. აშშ მხარს უჭერდა ეგრეთ წოდებულ ზომიერ ოპოზიციას, რომლის დახმარებითაც აიღეს რაქა. ერაყის არმია საკუთარ ტერიტორიაზე იბრძოდა

კოალიციის თვითმფრინავების და ამერიკელების დაახლოებით ხუთიათასკაციანი კონტინგენტის მხარდაჭერით. "ისლამური სახელმწიფოს" დამარცხება ყველა მხარის დამსახურებაა, რადგან ოპერაციებს ისინი აწარმოებდნენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა მეთოდით და ხშირად, როგორც ეს რუსეთის და აშშ-ის შემთხვევაში იყო, ძალისხმევის კოორდინაციის გარეშე.

ფორმალურად რუსეთი სირიაში ასადის რეჟიმის მიწვევით მივიდა „დაეშთან“ საბრძოლველად ,რომელიც ამ პერიოდში მართლაც წარმოადგენდა საფრთხეს.მაგრამ დაეშის დაბომბვასთან ერთად რუსეთმა დაბომბა ოპოზიციური ნაწილებიც,რომლებიც სიჭრელით გამოირჩეოდნენ.რუსეთი დაეხმარა ასადის რეჟიმს სხვადასხვა ექსტრემისტული მეამბოხე ჯგუფების განდევნაში სირიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ქალაქ ალეპოდან. ასევე ქალაქ პალმირიდან რომელიც ისტორიული მემკვიდრეობით გამოირჩევა და სადაც „დაეში“ ანადგურებდა ამ ისტორიულ მემკვიდრეობას.რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ სირიაში ექსპერტების მხრიდან გარკვეული დასკვნები იქნა გაკეთებული.მათ შორის ამერიკელი ექსპერტის სტივენ კუკის მხრიდან რომელმაც აღნიშნა:“სირიაში რუსებმა მოახდინეს პოლიტიკური ნებისა და გამძლეობის დემონსტრაცია. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთის ეკონომიკის ზომა, რასაც იყენებენ მისი სისუსტის ინდიკატორად. იმის დაჯერება, რომ რუსეთის ძალა ეფემერულია, შეიცავს რისკს, შეგვექმნას ისეთი წარმოდგენა მსოფლიოს შესახებ, რომელიც თვითდამშვიდებას წარმოშობს… რუსები არ აპირებენ წასვლას, მათ აქვთ დასავლეთის დასუსტების სტრატეგია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში იწყება” (რევაზ გაჩეჩილაძე. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“. გვ -122)

სირიის კონფლიქტში ჩართვა რა თქმა უნდა რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების ასპექტებს მოიცავს. მას სურს სამხედრო თვალსაზრისით დამკვიდრდეს ხმელთაშუა ზღვაში. ამისთვის მან ასადისგან მიიღო ტარტუსის ნავსადგური და ხმეიმიმის

აეროდრომი, სადაც აქტიურად ხდება მოწყობა რუსეთის სამხედრო საჰაერო ბაზის. სირიის კონფლიქტში ჩართვა რუსეთს შესაძლებლობას აძლევს რეალური ბრძოლის პირობებში გამოსცადოს თავისი ძალები. ეს ერთგვარ წვრთნადაც შეგვიძლია შევაფასოთ. 2015 წლიდან როდესაც რუსეთი უშუალოდ ჩაერთო სირიის კონფლიქტში 2018 წლამდე მონაწილეობა მიიღო მისმა დაახლოებით 60 ათასმა სამხედრო მოსამსახურემ. საჰაერო წვრთნები გაიარეს სამხედრო საჰაერო კონტიგენტის თითქმის 90%-მა. გამოიცადა შეიარაღების 230 სახეობა. რუსეთის გავლენას ასადის რეჟიმზე ის გარემოებაც მოწმობს რომ 2018 წელს სირიამ აღიარა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდბლობა.

პენტაგონის მონაცემებით, დღეს სირიასა და ერაყში "ისლამური სახელმწიფოს" 3 ათასამდე წევრია დარჩენილი, რაც დაახლოებით ათჯერ ნაკლებია 2015 წლის მონაცემებზე, როდესაც "ისლამური სახელმწიფო" ვითარდებოდა და ახალ-ახალ ტერიტორებს იპყრობდა. ბევრი მოკლულია. მაგალითად აშშ-ში აცხადებენ, რომ მოკლულია 60-70 ათასი ტერორისტი, უფრო მეტი კი თავის სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნებულები ამტკიცებენ, რომ ისლამისტები თურქეთის გავლით ევროპაში მიემგზავრებიან და ტერორისტულ საქმიანობას იქ განაგრძობენ. ამგვარად, "ისლამისტური სახელმწიფო" "ალ ქაიდას" ემსგავსება - ტერორისტულ ქსელს, რომელსაც კონკრეტული ცენტრი არ აქვს. "ისლამურ სახელმწიფოს" ტერიტორიების დაპყრობისა და ბრძოლების წარმოებისათვის რესურსი აღარ გააჩნია, მაგრამ ტერორისტებს ევროპულ და ამერიკულ ქალაქებში აფეთქებების და თავდასხმების მოწყობა, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში იდეოლოგიური თანამოაზრეების გადაიბირება შეუძლიათ.

3.4. სირიის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთის მიერ ინიცირებულ მოლაპარაკებებში

სირიის საკითხი და მოლაპარაკებები კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით აქტიურ დღის წესრიგში დგას.სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა რომ ამდენი დაპირისპირების და ომის შემდეგ აუცილებელია გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება.მოლაპარაკებები ჟენევის და „ასტანის ფორმატში“ წარიმართა.შუამავალ ქვეყნებს წარმოადგენენ რუსეთი,ირანი და თურქეთი,რომლებიც თავის მხრივ ამბობენ რომ ძალისხმევას არ დაიშურებენ იმისთვის რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა უზრუნველყონ საზავო ხელშეკრულების შესრულება.

რუსეთი მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებდა იმ დოზით რა დოზითაც მას ეს აწყობდა სირიის საკითხში,გამომდინარე აქედან რამდენჯერმე ვეტოს უფლებაც გამოიყენა. 2011 წელს მოსკოვმა და პეკინმა არ დაუჭირეს მხარი რეზოლუციის პროექტს, რომელიც სირიის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას გულისხმობდა. 2012 წელს ვეტო გამოიყენეს რეზოლუციის პროექტზე, რომელიც სირიაში სისხლისღვრაზე მთელს პასუხისმგებლობას აკისრებდა და პრეზიდენტობიდან ასადის გადაყენებას გულისხმობდა. 2013 წელს ასევე დაბლოკეს რეზოლუცი,რომელიც სირიის კონფლიქტში უშუალო სამხედრო ჩარევას გულისხმობდა. მას შემდეგ რაც ქიმიური იარაღი იქნა გამოყენებული მოსკოვი გამოვიდა ინიციატივით, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინათ და საერთააშორისო დამკვირვებლების მეთვალყურეობით მომხდარიყო სირიიდან ქიმიური იარაღის გატანა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა დამასკომ და ვაშინგტონმა. რუსეთი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სირიის საკითხისადმი მიძღვნილ ყველა საერთაშორისო კონფერენციაში,რათა მუდმივად მოვლენების ეპიცენტრში ყოფილიყო და რამე ისეთი საკითხი არ გამოჰპარვოდა რომელიც სადავეებს გააშვებინებდა ხელიდან.

2012 წელს შედგა კონფერენცია „ჟენევა -
1“, რომლის მონაწილეებიც შეთანხმდნენგარდამავალი მთავრობის შექმნის თაობაზე,ხ
ანგრძლივი მზადების შემდეგ ჩატარდა„ჟენევა-
2“. თუმცა ამ კონფერენციებზე მიღებული არ იქნა რაიმე მნიშვნელოვანიგადაწყვეტილე
ბები, რადგანაც ვაშინგტონის მოთხოვნით, სირიის ოპოზიციასწარმოადგენდა ოპოზიციუ
რი და რევოლუციური ძალების ეროვნული კოალიცია,
(9)რომელიც „პოპულარობით არ სარგებლობდა სირიელებს შორის და ნაკლებად იყ
ოგათვითცნობიერებული ქვეყნის პრობლემებში“(10).
2016 წლის 15 მარტს მოლაპარაკებებიგანახლდა უკვე კონფლიქტის ყველა დაინტერეს
ებული მხარის მონაწილეობით. [17]

2015 წელს მოლაპარაკებების მორიგი სერია ჩატარდა ვენაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთმა, საუდის არაბეთმა და თურქეთმა. მოსკოვმა გამოთქვა ინიციატივა მოლაპარაკებებში ჩაერთოთ ის ქვეყნები, რომლებსაც შეეძლოთ გარკვეული პოზიტიური ზეგავლენა მოეხდინათ არსებულ სიტუაციაზე, როგორც რეგიონის შიგნით მყოფი მოთამაშეები (ეგვიპტე, ერაყი, ლიბანი, ყატარი, იორდანია, არაბთა გაერთიანებული საამიროები) ,ასევე გარე მოთამაშეები (გაერო, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია). მრავალწახნაგოვანი შეხვედრების შედეგად, მონაწილე ქვეყნებმა შეიმუშავეს სირიის აღდგენის გეგმა, რომელიც წელიწადნახევარზე იყო გათვლილი. პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობისას დამასკოსა და ოპოზიციის ჩართულობით სხვა აქტორებთან ერთად უნდა მომხდარიყო ახალი კონსტიტუციის მიღება და არჩევნების ჩატარება. მიუხედავად არჩევნების შანსისა ოფიციალური მოსკოვის პოზიცია სრულიად ცალსახა და ნათელი იყო.ის უჭერდა მხარს ბაშარ ასადის ხელისუფლებაში დარჩენას. რუსეთსა და სირიას შორის ურთიერთობების განმტკიცების მიზნით შეხვედრები მიმდინარეობდა მათ ლიდერებს

[17] სოჭი და სირიის სახელმწიფოს მომავალი. გვ.1. https://1tv.ge/analytics/sochi-da-siriis-sakhelmwifos-momavali/

შორის. 2015 წელს მოსკოვში ასადი ჩავიდა, სადაც მოლაპარაკებების დროს ბევრი საკითხი განიხილეს.საკითხები შეეხო როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებას ასევე სამხედრო თანამშრომლობის დონის აწევას.რუსეთი ცალსახად აფიქსირებდა თავის პოზიციას რომ მოლაპარაკებების დაწყების წინ არ დაუშვებდა ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობას და ამავდროულად რუსეთის გადაწყვეტილებით მისმა ძირითადმა სამხედრო ნაწილმა სირია დატოვა.ხოლო დარჩენილი სამხედრო ძალების არსებობა ქვეყანაში იმით ახსნა,რომ ისინი კონტროლს გაუწევდნენ სამშვიდობო პროცესს და ანტიტერორისტულ საქმიანობას.რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციებით სირიაში მან დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები და გავლენები საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. გამომდინარე აქედან აშშ-ს და მის მოკავშირეებს მოუწიათ კომპრომისზე წასვლა და ისინი მთავარ მიზნად უკვე ტერორიზმის დამარცხებას აცხადებდნენ და არა ასადის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან.

ჟენევის მოლაპარაკებებთან ერთად რუსეთმა მოახდინა ასტანის ფორმატის ინიცირება. 2016 წელს რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ,რომ დაპირისპირებული მხარეებისთვის შეეთავაზებინათ მოლაპარაკების მორიგი სერია ასტანის ფორმატში,რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობდა ხელს სიტუაციის დეესკალაციას და დარეგულირებას. ასტანის მოლაპარაკებების მთავარი მიზანი იყო 2016 წლის 29 დეკემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობების შესრულება. რომელიც გულისხმობდა ცეცხლის შეწყვეტას, მოქმედი რეჟიმის მხარდაჭერას და სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებებისთვის ნიადაგის მომზადებას.

2017 წლის 23-24 იანვარს ჩატარდა ასტანის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი, რომელსაც ესწრებოდა როგორც სირიის სამთავრობო დელეგაცია, ასევე ოპოზიციის შეიარაღებული ძალების ბლოკი, რუსეთის, თურქეთის და ირანის, ამასთანავე გაეროს

წარმომადგენლები. ჟენევის ფორმატისგან ასტანის ფორმატი იმით განსხვავდებოდა რომ უშუალოდ დაპირისპირებული მხარეები იღებდნენ მონაწილეობას.როგორც ოპოზიცია ასევე სახელისუფლებო წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს.

2017 წლის თებერვალში ჩატარდა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი ასტანაში. მასშიგაერომ, გარანტი ქვეყნების რუსეთის,თურქეთის და ირანის დელეგაციებმა, ოპოზიციამ ცხრა კაცის შემადგენლობით,დამასკოდან წარმომადგენელმა ბაშარ-ალ-ჯაფარმა მიიღეს მონაწილეობა. იორდანია და აშშ დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობდნენ ამ მოლაპარაკების მიმდინარეობისას. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა დახურულ რეჟიმში. ამ მოლაპარაკების მთავარი შედეგი იყო მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შეარიგებდა. ამ ჯგუფის შექმნა უნდა მომხდარიყო თურქეთის, რუსეთის და ირანის მონაწილეობით. მიუხედავად იმისა რომ ამ გადაწყვეტილებით არც თუ ძალიან კმაყოფილი იყვნენ სირიის ოპოზიციური ძალები საბოლოოდ მაინც დათანხმდნენ მოლაპარაკებებს. გაეროს ჩართულობამ მხარეთა შერიგების პროცესში კიდევ უფრო მეტად დააჩქარა ასტანის ფორმატში სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვა.

მოლაპარაკების მეოთხე რაუნდი ჟენევაში 2017 წლის 23 თებერვლიდან -
3 მარტამდე ჩატარდა. ექსპერტების აზრით, ამ რაუნდის ძირითადი წარმატება იყო ოთხ
ი პუნქტისაგანშემდგარი დღის წესრიგის შეთანხმება. ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ამშეხვედრაზე დაისვა იყო, ოპოზოციის გაერთი
ანების საკითხი.[18]

ასტანის მოლაპარაკებების მესამე რაუნდი 2017 წლის 14-15 მარტში შეიარაღებულიო
პოზიციის მონაწილეობია გარეშე გაიმართა. მხარეებმა განიხილეს და შეათანხმეს საკი
თხიტყვეების განთავისუფლების სამუშაო ჯგუფის შექმნის და ზომიერი ოპოზიციისტერო

[18] სირიის სამშვიდობო პროცესი. გვ.1. https://sputnik-georgia.com/analytics/20170301/235058633/siriis-samshvidobo-procesi.html

რისტული ჯგუფებისაგან დაშორიშორების შესახებ. დაიწყო, აგრეთვე, საკმაოდრთული საკითხის განხილვა საკონსტიტუციო სამართლის შექმნის შესახებ, წამოჭრილ იქნასრულიად ახალი თემა სირიის უძველესი დანგრეული ძეგლების, ლეგენდარულიპალმირას აღდგენის თაობაზე.

სირიის კონფლიქტისადმი მიძღვნილი ჟენევის მეხუთე რაუნდი 2017 წლის 23-31მარტს მიმდინარეობდა. უფრო წარმატებული აღმოჩნდა ასტანის 2017 წლის 3-4 მარტსჩატარებული მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი. მოლაპარაკებებში გაეროს, გარანტიქვეყნების - რუსეთის, ირანის და თურქეთის, აშშ-ს, სირიის სამთავრობო და ოპოზიციურიძალები იღებდნენ მონაწილეობას. მოლაპარაკებების მეორე დღეს ხელმოწერილ იქნა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი - მემორანდუმი „უსაფრთხოების ოთხიზონის“ შექმნის შესახებ, მათ შორის იდლიბის პრპვონციაში, მეზობელ ლატაკიას, ალეპოსადა ჰამში, ჰომსის პროვინციის ჩრდილოეთში, აღმოსავლეთ გუთში, აგრეთვე „სირიისსამხრეთის გარკვეულ რაიონებში, დერაას და ქუნეიტრას პროვინციებში“.

2017 წლის ივლისში ასტანაში ჩატარდა მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი,რომელიც მიზნად ისახავდა დეესკალაციის ზონების შექმნა.ივლისის თვეში ორჯერ გაიმართა მოლაპარაკებები მაგრამ რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია.თავის მხრივ ასტანის მოლაპარაკებებზე მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობდა ჟენევის მოლაპარაკებების წარმატებით წარმართვას.

2017 წლის 14-16 სექტემბერს გაიმართა ასტანის მოლაპარაკებების ახალი რაუნდი,სადაც მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დეესკალაციის ზონის შექმნის შესახებ. დამასკოს გარეუბანში,სირია-იორდანიის საზღვარზე, იდლიბის პროვინციაში. გარდა ამისა აუცილებელი იყო უსაფრთხოების ზოლის საკონტროლო

პუნქტების შექმნა, რომელიც რუსეთ-თურქეთ-ირანის მონაწილეობით მიღებულ ერთობლივ დოკუმენტში განისაზღვრა.

ასტანის ფორმატის მერვე შეხვედრაზე, (2017 წლის 21-22 დეკემბერი) მიღებულ იქნარუსეთის, ირანის და თურქეთის ერთობლივი განცხადება და ორი მნიშვნელოვანიდოკუმენტი -

სირიაში ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნისა და მძევლებისგანთავისუფლების შესა ხებ. გარანტმა ქვეყნებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს თავიანთიმხარდაჭერა ცეცხლის შ ეწყვეტის, სირიის ტერიტორიული მთლიანობისა და,დამოუკიდებლობისადმი. მათ გამ ოხატეს კმაყოფილება 2017 წლის 4 მაისის მემორანდუმისრეალიზების პროცესით -

დეესკალაციის ზონების შექმნით, კიდევ ერთხელ დაადასტურეს„ისლამური სახელმწი ფოს“

„ჯაფხატ ან ნუსრას“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების გასანადგურებლად, თან ამშრომლობის სურვილი.

2018 წლის 25-26 იანვარს ვენაში სირიის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა მოლაპარაკებების მეცხრე რაუნდი გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელის შუამდგომლობით, სირიისა ხელისუფლებისა და სირიის ოპოზიციური ძალების მოანწილეობით. რომლის დროსაც გაგრძელდა საუბარი სირიის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების და სოჭში მორიგი შეხვედრის შესახებ.

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე სირიის საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციამ საერთაშორისო საზოგადოებას მეტი მხარდაჭერისკენ მოუწოდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ოპოზიციის წარმომადგენელმა ნასილ ელ ჰარირიმ განაცხადა, რომ მათ სურთ უსაფრთხო და სტაბილური სირია და ამიტომაც მზად არიან გააგრძელონ

მოლაპარაკებები. მან ასევე იმედოვნა რომ რუსეთი ამ მოლაპარაკებებში პოზიტიურ როლს შეასრულებს ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები.

2019 წლის 22 ოქტომბერს რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტებმა გამართეს შეხვედრა სოჭში,სადაც ისაუბრეს სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით განვითარებულ მოვლენებზე და ამ რეგიონში თურქეთის სამხედრო ოპერაციაზე.მოლაპარაკების შემდეგ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა რომ თურქეთის პრეზიდენტმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრო განხორციელებული სამხედრო ქმედებების მიზეზებზე,რამაც ცხადი გახადა რომ გაგებით უნდა მოეკიდოს ყველა, იმ ნაბიჯებს რომელსაც ერდოღანი დგამს თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში.[19] სირია უნდა გათავისუფლდეს მის ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო ქვედანაყოფებისაგან. მტკიცე და გრძელვადიანი სტაბილიზაცია, ჩვენი შეხედულებით, მხოლოდ სირიის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით იქნება მიღწეული. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა და ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტს ვესაუბრეთ“, - ხაზი გაუსვა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავრომმა სოჭის შეთანხმების შემდეგ აღნიშნა,რომ ეს შეთანხმება უზრუნველყოფს სირიაში თურქეთის სამხედრო ოპერაციის დასრულებას.ის ნაბიჯები კი რომელიც მომავალში გადაიდგმება უზრუნველყობს ვითარების დეესკალაციას და სისხლისღვრის შეწყვეტას,რომელიც ამ მოცემულობაში ყველაზე მნიშვნელოვანია.ერთის მხრივ სოჭის მოლაპარაკებები და მეორეს მხრივ ასტანის ფორმატი გარკვეული შედეგებით ხასიათდება.ასტანის პროცესის მიზანია ცეცხლის შეწყვეტა და კონტროლირებადი რეჟიმის ჩამოყალიბება, ასევე ჰუმანიტარული დახმარების შესაძლებლობების გაფართოება იმ რაიონებისთვის

[19] სოჭში რუსეთის, თურქეთის და ირანის პრეზიდენტებმა სირიაში სამოქმედო გეგმა განიხილეს. გვ.1. https://www.tabula.ge/ge/story/144363-sochshi-rusetis-turqetis-da-iranis-prezidentebma-siriashi-samoqmedo-gegma-ganixiles

რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ასტანის მოლაპარაკებებს უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ, რადგან ფართოდაა წარმოდგენილი სამხედრო ფრთა,ხოლო ჟენევის პროცესში მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიცია მონაწილეობს.ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე არ ვრცელდებ,რაც გახდა მიზეზი იმისა რომ ამ დაპირისპირებაში მონაწილე ყველა მხარე ცდილობს ჯიჰადისტების განდევნას და ტერიტორიების გაფართოებას. საბოლოო ჯამში მოლაპარაკებებმა და სხვადასხვა ფორმატებმა გარკვეული შედეგი გამოიღო და დღესდღეობით შედარებით მშვიდი ვითარება არის სირიაში, მაგრამ ეს ყველაფერი მას მერე რაც თითქმის 400 ათასამდე ადამიანი დაიღუპა,მივიღეთ ლტოლვილთა მასობრივი ნაკადები,მიწასთან გასწორდა ქალაქი ალეპო, რომელიც ეკონომიკურად მოწინავე პოზიციაზე იდგა. მიუხედავად ამ მცირე ხნით გამოდარებისა სირია მაინც რჩება ცხელ ზონად, სადაც ტერორისტული ორგანიზაციები მოქმედებენ მიუხედავად იმისა რომ მათ წინააღმდეგ ბევრი სამხედრო დარტყმები განხორციელდა. ასადის რეჟიმი არ აპირებს ხელისუფლების დათმობას რაც მუდმივი დაპირისპირების საგანია ოპოზიციურ ძალებსა და ხელისუფლებას შორის. რუსეთი დღემდე ინარჩუნებს თავის ინტერესებს სირიაში ამიტომ ამ მოცემულობით კმაყოფილია და რამე დამატებითი ნაბიჯის გადადგმისკენ ჯერჯერობით არ ისწრაფვის, სანამ ამისთვის ვითარება არ მომწიფდება.

დასკვნა

ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მათ შორის კი განსაკუთრებით სირია, საერთაშორისო პოლიტიკურ მოთამაშეთა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების ეპიცენტრად იქცა. სირიის ცივილიზაცია სათავეს იღებს ძვ.წ მეოთხე ათასწლეულში, თანამედროვე სირიის სახელმწიფოებრიობა კი დაიწყო

დაახლოებით 73 წლის წინ. 1516 წლიდან როდესაც ის შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, გამოიარა დიდი ბრიტანეთის,საფრანგეთის მანდატი 1946 წლამდე, როდესაც სირიამ მოიპოვა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა.მას შემდეგ რაც სირია განთავისუფლდა ფრანგული მანდატისგან და დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩაერთო სხვა ძალები. ამ პერიოდიდან მოყოლებული სირია ხასიათდება გადატრიალებებით ქვეყნის შიგნით და ჩaრთულობით რეგიონში მიმდინარე პროცესებში, მათ შორის კონფლიქტებში.

1970-იან წლებში ასადის დინასტია მოვიდა ხელისუფლებაში და დღემდე ინარჩუნებენ ძალაუფლებას პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მეშვეობით.სირიის სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიაში ყველაზე მწვავე პერიოდად შეგვიძლია გამოვყოთ 2011 წლიდან დღემდე. 2011 წელს მოხდა ე.წ „არაბული გაზაფხული“ ,რომელსაც როგორც შიდაპოლიტიკური მიზეზები გააჩნდა,აგრეთვე ინსპირირებული იყო გარე ძალებისგან. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე გადატრიალებებმა,კონფლიქტებმა, ხელისუფლებაში დიქტატორების მოსვლამ მოსახლეობა სოციალური სიღატაკის ზღვარზე მიიყვანა, რაც იქცა მთავარ მიზეზად მასობრივი გამოსვლებისა და დემონსტრაციების ხელისუფლების წინააღმდეგ.პროტესტის ტალღამ ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა და მათ შორის სირიაც. სირიაში ბაშრ ალ-ასადის წინააღმდეგ გაერთიანდნენ სხვადახვა ოპოზიციური ძალები, სირიის ტერიტორიაზე აქტიური ქმედებების განხორციელება დაიწყო ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ისლამურმა სახელმწიფომ“ და სხვა ორგანიზაციებმა. შეტაკებებმა და დაპირისპირებებმა პიკს მიაღწია,ეს კი საუკეთესო მიზეზი იყო რეგიონით დაინტერესებული გარე აქტორებისთვის,რომ ამ კონფლიქტში ჩარეულიყვნენ. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ყოველთვის ცდილობდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობების აღდგენას სირიასთან, ამიტომაც ასადის რეჟიმს მოევლინა როგორც მოკავშირედ ოპოზიციისა და ტერორისტების

წინააღმდეგ საბრძოლველად.ამ კონფლიქტში ჩართვამ რუსეთს მისცა საშუალება მისი გეოპოლიტიკური ინტერესები განეხორციელებინა რეგიონში და მთელი მსოფლიოსთვის დაენახებინა რუსეთის როლი როგორც რეგიონულ,ასევე საერთაშორისო პოლიტიკაში. სირიის კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო 2015 წლიდან და მას შემდეგ დიდ დახმარებას უწევს ასადს ხელისუფლების შენარჩუნებაში.

ნაშრომზე მუშაობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზა დადასტურდა. გამომდინარე იქედან, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი რუსეთთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესის ობიექტსაც წარმოადგენს. ჯერ კიდევ ბარაკა ობამას ადმინისტრაცია ცდილობდა აქტიურად ჩართულიყო ახლო აღმოსავლეთის და მათ შორის სირიის პოლიტიკურ ციებ-ცხელებაში,მაგრამ კონგრესმა მხარი არ დაუჭირა. რუსეთის ჩართვამ კონფლიქტში და მისი დახმარებით ასადის რეჟიმის პოზიციების გამყარებამ, რაც საბოლოო ჯამში ისევ რუსეთს აბრუნებდა მსოფლიოს მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშის როლში. ტრამპს მიაღებინა გადაწყვეტილება რომ ჩართულიყო სირიის კონფლიქტში. ამერიკის შეერთებული შტატები დიდ დახმარებას უწევს სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან. მისთვის მნიშვნელოვანია ასადის ხელისუფლების დამხობა და ისეთი ხელისუფლების მოსვლა, რომლის პოლიტიკური ვექტორი ასე გაცხადებულად არ იქნება მიმართული რუსეთისკენ. 2018 წელს ტრამპმა ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად განახორციელა საჰაერო დარტყმები ქალაქ დამასკოში იმ საბაბით, რომ აქტიურად მიმდინარეობდა ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობა ერთ-ერთ სამეცნიერო ცენტრში, ხოლო ეს იარაღი ასადის ხელში არ უნდა ჩავარდნილიყო. კონფლიქტის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ასადის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სხვადასხვა ფორმატების მეშვეობით, რომელშიც ძირითად შუამავალ ძალას რუსეთი და ირანი წარმოადგენდნენ. საბოლოო ჯამში სირიაში რუსეთის დახმარებით ასადის რეჟიმმა

დაამარცხა სხვადასხვა ოპოზიციური ძალები და ძირითადი ქალაქები შეინარჩუნა.ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა დაიწყეს სირიის დატოვება.მთელი მსოფლიოს საზოგადოებისთვის ცხადი გახდა რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, კონკრეტულად კი სირიაზე რუსეთმა დღემდე შეინარჩუნა თავისი ინტერესები და თითქმის ერთადერთ ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯაფარიძე გოჩა „თნამედროვე სირია“ თბილისი 1979

2. გაჩეჩილაძე რევაზ „ახლო აღმოსავლეთი“ სივრცე ,ხალხი და პოლიტიკა

3. მიხეილ სვანიძე „თურქეთის ისტორია“

4. სანიკიძე, ალასანია, გელოვანი „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“ თბილისი 2011

5. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008

6. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999

7. Goldsmith, Arthur & Davidson, Lawrence. A Concise History of the Middle East. 8th ed. Boulder, Colorado: Westview Press, 2006

8. Parthes, Volker. The Political Economy of Syria under Asad. London: I.B Taurus, 1995

9. Syria Unmasked, The Suppression of Human Rights by the Asad Regime. New Haven, CT: Yale University Press, 1991.

10. Sharabi, H. ,,A Theory of Distorted Change in Arab Society'', New York: Oxford University Press. 1988

11. Van Dam, N. The Struggle for Power in Syria: Sectarianism, Regionalism and Tribalism in Politics. 1961-1978. London: Croom Helm, 1979

12. Примаков Е.М. Конфиденциально. Ближний Восток на сцене и за кулисами. М., 2012. С. 390. Ходынская-Голенищева М.С. Кризис в Сирии // Азия и Африка сегодня. 2015. № 13. გვ.13-20 Переговоры по Сирии в Вене // РИА Новости. 14.10.2015. URL: http://ria. ru/trend/syria_negotiations_14112015/#ixzz3rULGbFKv , 14.10.2015

14. Песков: Путин и Асад обсуждали силы, не имеющие отношения к терроризму // РИА Новости. 27.10.2015. URL: http://ria.ru/syria_chronicle/20151027/1309181351.html#ixzz3pwhqLIqC / 29.10.2015

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

1. ISIS-ის იდეოლოგია,პოლიტიკა და მოქმედების მეთოდები. https://militarium.org/islamuri-saxelmwifo/?fbclid=IwAR3cMzAAipDibanesgJMe5uTM4rHeKCkr-4UTdBqGsIMCJEdPfF0p0BHNy0

2. ისლამური სახელმწიფო „აღზევება და დაცემა“ https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/?fbclid=IwAR1CS4TmOmBJKx_haff3blSulvTNxle0v3N3Gmq9e9paq9i6dX8MsH8SwHg

3. სირია და ბაშარ ალ ასადი http://iveria.biz/529--.html

4. არაბული გაზაფხული და ისლამისტური ძალები https://www.academia.edu/17819652/

5. MacFarquhar N., Barnard A. First Russian Jets Leave Syria After Putin's Withdrawal Order // The New York Times. 15.03.2016. URL: https://www.nytimes.com/2016/03/16/world/europe/russiasyria.html?_r=0

6. „The War in Syria or The Threads of a Blood Stained Carpet“, http://www.peaceinsyria.org/downloads/Report%20Peace%20Mission%20Syria%20Sep%20201 2.pdf